განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„სოციოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 10 დეკემბერი

(2021 წელი)

დასკვნის წარდგენის თარიღი - 26 იანვარი

თბილისი, 2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის მითითებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სოციოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სოციოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო–სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული; 26.07.2012წ გადაწყვეტილების N266

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ–ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ილია ბოცვაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა კირვალიძე, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე გავაშელიშვილი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჯოვანა აბლოთია, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება 2005 წლიდან. პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2013 წელს. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა დაგეგმილია ისე, რომ უზრუნველყოფოფს ზოგადი, თუმცა, მაღალი კვალიფიკაციის სოციოლოგების აღზრდას. ეს ნიშნავს, რომ ის არ არის ორიენტირებული აღზარდოს რომელიმე დარგობრივი (კულტურის, რელიგიის, ოჯახის, სამართლის და ა.შ.) სოციოლოგიის, ან გამოყენებითი სოციოლოგიის ვიწრო სპეციალისტები. სხვა მიზეზებთან ერთად, ეს განპირობებული არის იმით, რომ ისედაც შეზღუდული შრომის ბაზრის პირობებში, კიდევ უფრო მეტად არ დავიწროვებულიყო სოციოლოგიის მაგისტრთა დასაქმების შესაძლებლობები. სტუდენტები ამა თუ იმ დარგზე კონცენტრაციას არაფორმალურად, ანუ მათთვის საინტერესო კურსების არჩევის საფუძველზე აკეთებენ. ასეთი მოდელი ბევრ დასავლურ უნივერსიტეტშია დამკვიდრებული (თუმცა, ისიც ცხადია, რომ ერთგვარი „ლატენტური“ პროფესიული კონცენტრაცია, მეორე მხრივ, მეტყველებს ქვეყნის განვითარების სტრატეგიული კურსისა და გამოწვევების მკაფიოდ ჩამოუყალიბებლობაზე. ეს ხელს უშლის სწავლების მოდელებს და პროგრამებს, ფეხი აუწყონ ამ გამოწვევებს და ქვეყანას შესთავაზონ მისი სტრატეგიული განვთარებისთვის გამოსადეგი კვალიფიციური პროდუქტი).

პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე. სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა ოთხი სემესტრია (2 აკადემიური წელი); სასწავლო და კვლევითი კომპონენტი მოიცავს 120 კრედიტს (ECTS) და გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:

- სავალდებულო კურსები - 80 კრედიტი (ECTS),
  - სავალდებულო სასწავლო კურსები - 50 (ECTS) -
  - სამაგისტრო ნაშრომი - 30 (ECTS)
- არჩევითი კურსები - 30 კრედიტი (ECTS)
- თავისუფალი კურსები - 10 კრედიტი (ECTS)

სწავლების ოთხი სემესტრიდან სამი სემესტრი ეთმობა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების გავლას, ხოლო მეოთხე სემესტრი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდების

შედეგების საფუძველზე. ასევე უნდა ჩააბაროს გამოცდა სპეციალობაში (სოციოლოგიაში) და გაიაროს გასაუბრება სპეციალობასა და უცხო ენაში (ინგლისური B2).

პროგრამის სწავლების ენა არის ქართული.

პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს სოციოლოგიის მაგისტრის კვალიფიკაციას.

სამაგისტრო პროგრამაზე წლიურად ირიცხება საშუალოდ 20 სტუდენტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 10 დეკემბერს დისტანციურად Zoom–ის პლატფორმის საშუალებით ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით.
ვიზიტი მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის (სოციოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას.
ექსპერტთა ჯგუფის წინასააკრედიტაციო მოსამზადებელი შეხვედრა გაიმართა 8 დეკემბერს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით. შეხვედრაზე მოხდა წარმოდგენელი დოკუმენტაციის, პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშების განხილვა. დაიგეგმა დასკვნებისა მომზადების სტრატეგია, გადანაწილდა სტანდარტები და ქვესტანდარტები ჯგუფის წევრებს შორის. ექსპერტთა მიერ გაიწერა ის ძირითადი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მიმდინარეობის დროს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს პროცესში.
10 დეკემბერს დაწესებულებაში ვიზიტი შეთანხმებული პროცედურებით წარიმართა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა განრიგით განსაზღვრული ყველა შეხვედრა, კერძოდ ინტერვიუები გაიმართა უნივერისტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ–ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) ონლაინ დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, მაღალი აკადემიური სტანდარტის დაცვით, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფი უზრუნველყოფილი იყო კარგი სამუშაო გარემოთი და მათ საშუალება ჰქონდათ ობიექტურად შეეფასებინათ პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.
ვიზიტის დასასრულს ექპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ჯგუფის მთავარი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სოციოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. პირველი, მე-3. მე-4 და მე-5 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო მე-2 სტანდარტი მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან. ხოლო თითოეულ ქვესტანდარტთან შესაბამისობა შემდეგნაირია:

- პირველი სტადარტი შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, რადგან 1.1 კომპონენტი შესაბამისობაშია და 1.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან;
- მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, რადგან 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 2.6 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია და 2.5 კომპონენტი შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.
- მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, რადგან 3.1 კომპონენტი შესაბამისობაშია, ხოლო 3.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან;
- მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, რადგან 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტი შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.
- მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, რადგან 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტი შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

- **რეკომენდაციები**

➢ სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში ცხადად უნდა განისაზღვროს რეაგირების მექანიზმები;

➔ **უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია:** სამიზნე ნიშნულების შემუშავებისა და მათი შესრულების მონიტორინგის პროცესში აქტიურად გამოიყენება აკადემიური მოსწრების ანალიზი. სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სამიზნე ნიშნულები (სასწავლო კურსებს სტუდენტთა მინიმუმ 70% დაასრულებს 81 ქულაზე მაღალი შეფასებით; საშუალოდ სტუდენტების 51% დაიცვას ნაშრომს „ფრიადზე") განისაზღვრა ბოლო 2 წლის სასწავლო გამოცდილების გათვალისწინებით. შესაბამისად, თუ რეალობა შეიცვლება, ეს გამოიწვევს სამიზნე ნიშნულების დაკორექტირებას. აკადემიური მოსწრების ანალიზი ხორციელდება ყოველსემესტრულად. სამიზნე ნიშნულებთან სტუდენტების მიღწევების დადარება ხორციელდება არა მათ მიერ პროგრამის დასრულების შემდგომ, არამედ შუალედურად, პროგრამის განხორციელების პარალელურად საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის მიერ. თუ შუალედური შეფასებისას გამოიკვეთა სტუდენტთა მიერ პროგრამით დასახული სამიზნე ნიშნულების ვერ მიღწევის ფაქტი, ასეთ შემთხვევაში ხდება სასწავლო კურსების შინაარსობრივი მხარის შესწავლა. მსგავს შემთხვევებში, განხილვის საგანს წარმოადგენდეს სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდები, შეფასების მეთოდები, ფორმები და მათი გამჭვირვალობა, სასწავლო კურსის შინაარსი, დავალებების/აქტივობების შინაარსი და სიცხადე და სხვ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ წინამდებარე რეკომენდაცია რჩევად რეფორმულირდეს.

➔ **ექსპერტთა პოზიცია:** რეკომენდაცია ეხება სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმებს; ინსტიტუცია არგუმენტირებულ პასუხში აღწერს რეაგირების პროცესს და მექანიზმებს, თუმცა აღნიშნული გაწერილი არ არის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტში; სწორედ აღნიშნულის გაწერა წარმოადგენს საჭიროებას რეკომენდაციის მიხედვით.

➢ რეკომენდებულია, რომ უსდ–ს ვებგვერდზე წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია საჯაროდ და გამჭვირვალედ, თუ რა კრიტერიუმებით/კომპონენტებით მოხდება აპლიკანტის შეფასება როგორც გასაუბრებაზე, ისე, სპეციალობის გამოცდაზე და როგორ მოხდება ქულათა რაოდენობის მინიჭება თითოეული კომპონენტისთვის;

- **უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია:** აღნიშნული პროცედურისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია გაწერილია და შესაბამისი დოკუმენტი განთავსებულია თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდზე (იხ. ბმული: https://cutt.ly/aIEk1bW).
- **ექსპერტთა პოზიცია:** საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში, მასზე თანდართული დოკუმენტაციებში, ასევე, უნივერსიტეტის ვებგვერდზე პროგრამის შესახებ განთავსებულ წყაროებში არ იყო წარმოდგენილი აპლიკანტების შეფასების კრიტერიუმები (გასაუბრებაზე). ამჯერად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი "არგუმენტირებული პასუხის" დოკუმენტში მოწოდებულია უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მისამართი, სადაც განთავსებულია დოკუმენტი - "სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები საგამოცდო და გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები". დოკუმენტის გაცნობის შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი კრიტერიუმები საკმაოდ ზოგადია და საჭიროებს დაკონკრეტებას, დიფერენცირებას და დახვეწას. მაგალითად, გამოცდა სპეციალობაში (სოციოლოგიაში), რომელიც 4 კითხვისგან შედგება, თითოეულ კითხაზე პასუხს აფასებს ზოგადად "შეცდომების დაშვების" მიხედვით (არ პასუხობს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს - 0% – დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომები — 1–25% – დაშვებულია მცირე შეცდომები — 26–50 % – დაშვებულია არაარსებითი შეცდომები — 51–75 % – შესრულებულია სრულყოფილად — 76–100 %), რაც არ ითვალისწინებს საგნობრივი ცოდნის სპეციფიკის შესაბამისი კრიტერიუმებით აპლიკანტების შეფასებას. შეფასების კრიტერიუმების დახვეწა და მათი სიცხადე გამჭვირვალეს გახდის შეფასების პროცესს და დაეხმარება აპლიკანტს სათანადოდ მომზადებაში.

- რეკომენდებულია, რაოდენობრივი მონაცემების კომპიუტერული ანალიზის კურსი (SPSS, ან STATA) გახდეს სავალდებულო;
- რეკომენდებულია, თვისებრივი მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის კომპიუტერული პროგრამის (NVivo, MAXQDA ან სხვ.) სავალდებულო კურსის დამატება;
- **უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია:** აღნიშნული რეკომენდაციები უსაფუძვლოა: სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სოციოლოგიის პრაქტიკუმის 15 კრედიტიან სავალდებულო კურსს (პრაქტიკუმი სოციოლოგიაში 1, პრაქტიკუმი სოციოლოგიაში 2 და პრაქტიკუმი სოციოლოგიაში 3). ეს კურსები ისწავლები 3 სემესტრის განმავლობაში და მათ ფარგლებში სტუდენტები სწორედ კომპიუტერული პროგრამების (როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევისთვის) გამოყენების უნარ–ჩვევებს იღრმავებენ. ეს პროგრამებია SPSS და Nvivo. გარდა ამისა, სტუდენტებს ვთავაზობთ არჩევით კურსს რაოდენობრივი კვლევის მონაცემთა დამუშავების ალტერნატიული კომპიუტერული პროგრამის - STATA - სახით. აღნიშნული კურსის აღება სტუდენტებისთვის ერთგარ სტატისტიკურ „ფუფუნებას" წარმოადგენს, რამდენადაც მათ აქვთ SPSS კომპიუტერული პროგრამა შესწავლილი სოციოლოგიის პრაქტიკუმის სავალდებულო კურსის ფარგლებში. ამდენად, არ არსებობს აუცილებლობა იმისა, რომ STATA–ს კურსი სავალდებულო გახდეს.
- **ექსპერტთა პოზიცია:** სწორედ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ინსტიტუციის პოზიციაში დასახელებული სასწავლო კურსების მიზანს არ წარმოადგენს უშუალოდ SPSS–ის, ისევე როგორც, ცალკე NVivo–ს პროგრამის შესწავლა, არამედ მთელ რიგ კვლევასთან დაკავშირებულ საკითხებს შორის სილაბუსში მხოლოდ რამდენიმე ლექციას/სემინარს უთმობს მათ, უაღრესად მნიშვნელოვანად მივიჩნევთ მონაცემთა ანალიზის კომპიუტერული პროგრამების (რაოდენობრივი, თვისებრივი) შემსწავლელი კურსები ცაკლკე არსებობდეს სავალდებულო სტატუსით, სოციოლოგიის პროგრამისთვის

მათი არსებითი მნიშვნელობიდან გამომდინარე. ამასთან, კითხვა ჩნდება, თუ როგორ "იღრმავებენ სტუდენტები NVivo–სა და STATA–ს პროგრამების გამოყენების უნარ–ჩვევებს", იმ პირობებში, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული ლაბი შესაბამისი ლიცენზირებული პროგრმული უზრუნველყოფით), რაც აღინიშნა ასევე ლექტორების მიერ, რომლებიც აღნიშულ პროგრამებს აცნობენ სტუდენტებს.

- ➢ რეკომენდებულია, სავალდებულო თეორიულ კურსებს შორის თემების გამეორება/დუბლირების გამორიცხვა, და მათ შორის ლოგიკური თანმიმდევრობის პრინციპის დაცვა;
- ➔ **უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია:** აღნიშნულ რეკომენდაციას ნაწილობრივ ვეთანხმებით. კერძოდ, ორ კურსში „თანამედროვე სოციალური თეორიები 2" და „პოსტმოდერნული სოციალური თეორიები" ჩართულია თემები, რომლებიც მიშელ ფუკოსა და ჟან ბოდრიარის სოციალურ თეორიებს ეხება. ეს თეორიები, თავისი არსით, პოსტმოდერნული თეორიებია. ამდენად, ისინი ამოღებულ იქნება „თანამედროვე სოციალური თეორიები 2"–ის სილაბუსიდან და დარჩება „პოსტმოდერნული სოციალური თეორიების" სილაბუსში. რაც შეეხება თემების გადაფარვას სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივ მეთოდებსა და სოციოლოგიის პრაქტიკუმს შორის, ეს სავსებით ლოგიკურია - პრაქტიკა იმეორებს თეორიული კურსის საკითხებს, თუმცა იმ განსხვავებით, რომ პრაქტიკუმის კურსში ეს საკითხები კონკრეტულ გამოყენებით უნარ–ჩვევად (ხელობად) კონვერტირდება. შეცდომა სწორედ ის იქნებოდა, კვლევის მეთოდებისა და პრაქტიკუმის კურსები ერთმანეთს რომ იყოს აცდენილი თემატურად.
- ➔ **ექსპერტთა პოზიცია:** როგორც ინსტიტუციის პოზიციაშია აღნიშნული, "პრაქტიკუმში (თეორიული) საკითხები კონკრეტულ გამოყენებით უნარ–ჩვევად კონვერტირდება". სწორედ ეს წარმოადგენს სასწავლო კურსის –"რაოდენობრივი კვლევის მეთოდები" მიზანს სილაბუსის მიხედვით: "კურსის მიზანია, შესძინოს სტუდენტებს რაოდენობრივი კვლევის მეთოდების სიღრმისეული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, დამოუკიდებლად დაგეგმონ და ჩაატარონ ემპირიული კვლევები. სტუდენტები განახორციელებენ პრაქტიკულ სამუშაოებს," შესაბამისად, ჩნდება კითხვა ამ კურსებს შორის თემატიკისა და მიზნების ურთიერთგადაფარვასთან დაკავშირებით.

- ➢ რეკომენდებულია, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებდეს ახალი კვლევის შედეგებსა და სფეროს თანამედროვე მიღწევებს. მათ შორის, არა მხოლოდ თეორიულ, არამედ კვლევით და მეთოდოლოგიურ კურსებში;
- ➔ **უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია:** წარმოდგენილი რეკომენდაცია ზოგადია და, ერთის გარდა, არცერთ სასწავლო კურსს არ მიემართება. ჩვენ ვთვლით, რომ როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი სოციოლოგიის კუთხით, სასწავლო პროგრამაში ჩართულია დარგის უახლესი მიღწევები. რაც შეეხება კურსს, რომელსაც ეს რეკომენდაცია ეხება. ესაა „მონაცემთა ანალიზი": ამ კურსისთვის ძირითად ლიტერატურას წარმოადგენს: Andy Field, 2013. DISCOVERING STATISTICS USING IBM SPSS STATISTICS, 4th edition. ეს ერთ–ერთი საუკეთესო სახელმძღვანელოა, ძალიან მაღალი ციტირების ინდექსით: Cited by 22645, https://scholar.google.com/scholar?hl=en&as_sdt=0%2C5&as_vis=1&q=Andy+Field%2C+Discovering+statistics+using+IBM+SPSS+statistics+5–th+edition&btnG= არსებობს მისი უფრო გვიანდელი გამოცემებიც, მაგრამ ის მასალა, რომელიც

მონაცემთა ანალიზის სამაგისტრო კურსის ფარგლებშია გამოყენებული, უფრო გვიანდელ გამოცემებში შეცვლილი არ არის. მაგალითისათვის, იხ. მეხუთე გამოცემა: https://us.sagepub.com/en-us/nam/discovering-statisticsusing-ibm-spss-statistics/book260423 ამდენად, მონაცემთა ანალიზის სწავლება სამაგისტრო საფეხურზე ნამდვილად გაღრმავებულია და ითვალისწინებს „შესაბამის უახლეს ლიტერატურასა და კვლევებს მოცემულ სფეროში''.

- **ექსპერტთა პოზიცია:** "სფეროს თანამედროვე მიღწევები და ახალი კვლევის შედეგები" თეორიული კურსების ფარგლებში მაგალითისთვის გულისხმობს კონკრეტული თეორიის ემპირიულ აპლიკაციას, ანუ, ე.წ. Benchmark paper-ს, და არ შემოიფარგლება სილაბუსში მხოლოდ ორიგინალი ტექსტებით და საგნის სახელმძღვანელოებით (როგორც დამატებითი მასალით). ასევე, კვლევით და მეთოდოლოგიურ კურსებში, ლიტერატურა მნიშვნელოვანია მოიცავდეს ე.წ. "Benchmark paper" -ს კონკრეტული კვლევის მეთოდის უახლეს ემპირიულ აპლიკაციის. მაგალითად, თვისებრივი კონტენტ–ანალიზის მეთოდის სწავლების შემთხვევაში ერთ–ერთ ასეთ "Benchmark paper"–ს წარმოადგენს Petek et al . – 2021. Croatian public policy- ს შესახებ. ან, Hongryun Woo1 & Nanseol Heo 2013. A Content Analysis of Qualitative Research in Select ACA Journals (2005–2010). სასწავლო კურსის სილაბუსებში მნიშვნელოვანია წარმოდგენილი იყოს უახლესი კვლევითი პუბლიკაციები სოციოლოგიის დარგობრივი სამეცნიერო ჟურნალებიდან.

- რეკომენდებულია, პროგრამამ ხელი შეუწყოს სტუდენტებს პრაქტიკული გამოცდილების მიღებას უშუალოდ კვლევით ორგანიზაციებში; ამ მიზნის განხორციელებაში მნიშვნელოვანია როგორც ფაკულტეტის ასევე, უნივერსიტეტის მხრიდან სათანადო მხარდაჭერა, რათა დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას;
- **უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია:** აღნიშნული რეკომენდაცია უსაფუძვლოა: სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში არსებობს 5 კრედიტიანი კურსი – პრაქტიკუმი სოციოლოგიაში 3, რომელიც სწორედ კვლევით ორგანიზაციებში სტაჟირებას ითვალისწინებს. სტუდენტები სტაჟირებას ოფიციალურად გადიან ორ ორგანიზაციაში: კავკასიის რესურსების კვლევით ცენტრში (CRRC) და სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტში (ISSA). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. აღნიშნული ტიპის დოკუმენტი, განსხვავებით ხელშეკრულებისგან, მისი შინაარსიდან გამომდინარე არ მოითხოვს ისეთი დეტალების დაზუსტებას როგორიცაა სტუდენტთა რაოდენობა და სტაჟირების/პრაქტიკის პერიოდი.
- **ექსპერტთა პოზიცია:** აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველია აკრედიტაციის სტანდარტი: 2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება; რომელიც მოითხოვს, დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.

- რეკომენდებულია გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმები სილაბუსებში, სადაც ფასდება დასწრება აქტივობისგან დამოუკიდებლად;
- **უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია:** დასწრება და აქტიურობა სხვადასხვა ტიპის აქტივობებია. ამდენად, სავსებით ლოგიკურია ამ ორი კომპონენტის ერთმანეთისგან

დამოუკიდებლად და განსხვავებულად შეფასება. თუ რომელიმე სასწავლო კურსის პედაგოგს შეფასების ეს ორი კომპონენტი გაყოფილი აქვს, ეს მისი აკადემიური თავისუფლების ნაწილია და ამაში ვერ ჩავერევით.

- **ექსპერტთა პოზიცია:** აღნიშნული პრაქტიკა წინააღმდეგობაში მოდის „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებასთან, რომლის "შეფასების კომპონენტების" განმარტებაში წერია: კ) შეფასების კომპონენტები – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, სპექტაკლი, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.); შესაბამისად აქედან გამომდინარე დასწრებით ვერ ფასდება ცოდნა/უნარი/კომპეტენცია და აღნიშნული მიდგომა წარმოადგენს ნონსენს.

- რეკომენდირებულია, სილაბუსებში მოცემული შეფასების კომპონენტების დაზუსტება. კერძოდ, ქულებს შორის არსებული დიაპაზონის შემცირება ან განმარტება, თუ რა შემთხვევაში იღებს სტუდენტი მაქსიმალურ ქულას და რა შემთხვევაში მინიმალურს;

- **უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია:** აღნიშნულ რეკომენდაციას არ ვეთანხმებით. სილაბუსების აბსოლუტურ უმრავლესობაში შეფასების დიაპაზონები გაწერილია რაციონალური შუალედით. დასკვნაში არარაციონალური („დიდი") დიაპაზონის დასტურად მოტანილია შემდეგი შუალედები: 36–31, 30–25, 19–10, რაც მართებულად არ მიგვაჩნია. თავად განსხვავებული შეფასების უნივერსალური საგანმანათლებლო სტანდარტები გულისხმობს 10 ქულიან დიაპაზონს (A = 91–100; B = 81–90; C = 71 – 80 და ა. შ.). სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში შეფასებათა დიაპაზონები, როგორც წესი, 10–ზე ნაკლებია (10 ქულიანი დიაპაზონის ნიმუშად დასკვნაში მოტანილია მხოლოდ ერთი არჩევითი კურსი "დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური სტრუქტურა შედარებით პერსპექტივაში" და არც ეს მიგვაჩნია პრობლემად).

- **ექსპერტთა პოზიცია:** რიგ სილაბუსებში კონკრეტული აქტივობის შეფასების რუბრიკების ქულებს შორის ფიქსირდება 5, 9, 10 –ქულიანი დიაპაზონი რაც გაუგებარს ხდის სტუდენტებისთვის თუ რა შემთხვევაში იღებს სტუდენტი მაქსიმალურ ქულას და რა შემთხვევაში, მოცემული ქულებიდან, მინიმალურს; რაც წინააღმდეგობაში მოდის აკრედიტაციის 2.6 სტანდარტის: სტუდენტების შეფასება, ერთ–ერთ მთავარ პრინციპთან: *შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის **გამჭვირვალე,** გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის.*

- რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომებზე ინდივიდუალურად იმუშაონ სტუდენტებმა, რათა ნათელი იყოს თითეული მაგისტრანტის როლი სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში და აღნიშნული საკითხი თანხვედრაში მოვიდეს უმაღლესი განათლების შესახებ კანონთან.

- **უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია:** აღნიშნულ რეკომენდაციას არ ვეთანხმებით. სოციოლოგიაში სამაგისტრო ნაშრომები, როგორც წესი, სრულდება ემპირიული კვლევის საფუძველზე; ამდენად, სტუდენტებს აუცილებლად უნდა მიეცეთ წყვილში სამაგისტრო ნაშრომების შესრულების უფლება. საქმე ისაა, რომ ემპირიული კვლევები (განსაკუთრებით, რაოდენობრივი) მრავალსაფეხურიანია და გულისხმობს სხვადასხვა (მათ შორის, ადამიანური) რესურსის აქტიურად გამოყენებას, შესაბამისად, ჯგუფურ მუშაობას.

მაგალითად, სრულიად წარმოუდგენელია, რომ ერთმა სტუდენტმა განახორციელოს რეპრეზენტატული რაოდენობრივი კვლევა და კვალიფიციურად შეასრულოს ყველა მისი ეტაპი - ტექნიკურიც და ინტელექტუალურიც. სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა უშვებს, რომ, ემპირიული კვლევის შემთხვევაში, არაუმეტეს ორმა სტუდენტმა დაწეროს ნაშრომი. ამ დათქმითაც კი უაღრესად შრომატევადი საქმეა შესასრულებელი. თუ ჯგუფურ (2 წევრიან) მუშაობას ავკრძალავთ, არსებობს რეალური რისკი, რომ სტუდენტებმა ემპირიული კვლევების საფუძველზე აღარ დაწერონ სამაგისტრო ნაშრომი, რაც დარგის განვითარებისთვის მიუღებელია. ამასთან, როდესაც სამაგისტრო ნაშრომი წყვილში სრულდება, ნაშრომს წაეყენა სხვა მოთხოვნები, ვიდრე მაშინ, როდესაც ნაშრომი ინდივიდუალურად სრულდება. კერძოდ, ეს გამოიხატება სამაგისტრო ნაშრომის მოცულობის გაზრდით (სტანდარტულ მოთხოვნას 1/3–დით უნდა აღემატებოდეს წყვილში შესრულებული ნაშრომის მოცულობა). გარდა ამისა, საჯარო დაცვაზე, სამაგისტრო ნაშრომის ორივე ავტორმა უნდა დაასაბუთოს მათი თანაბარი მონაწილეობა ნაშრომის შექმნაში.

- **ექსპერტთა პოზიცია:** რამდენადაც სამაგისტრო ნაშრომი, იგივე, სამაგისტრო თეზისი, წარმოადგენს ორიგინალურ ინდივიდუალურ კვლევას, რომელიც აკადემიური ხარისხის მოპოვების წინაპირობას წარმოადგენს, მისი დაგეგვა, განხორციელება და შეფასება ინდივიდუალურად ხდება. არგუმენტს ემპირიულ მონაცმემთა რეპრეზენტატულობის უზრუნველყოფის მიზნით სამაგისტრო კვლევით პროექტში სტუდენტების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით ვერ გავიზიარებთ. რაოდენობრივი ხასიათის კვლევაში მონაცემთა რეპრეზენტატულობის მოთხოვნის დაკმაყოფილება თანაბრადაა გამოწვევა, როგორც ერთი, ისე, ორი ან თუნდაც, სამი მკვლევარის პირობებში. სწორედ ამიტომ, რეპრეზენტატულობის მკაცრი მოთხოვნები სამაგისტრო კვლევის ფარგლებში სტუდენტს არ წაეყენება. დღესდრეობით ერთერთი ალტერნატივა ონლაინ გამოკვლევებია, რაც სტუდენტს ეხმარება მონაცემების რეპრეზენტატულობის გაზრდაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩნდება კითხვა, თუ როგორც ახერხებენ სამაგისტრო თეზისზე ინდივიდუალურად მუშაობას სტუდენტები სოციოლოგიის პროგრამებზე მთელი მსოფიოს მასშტაბით, რამდენადაც თეზისი სწორედ ემპირიული კვლევის ჩატარებას მოიაზრებს;

ამავდროლად, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის N48 მუხლის N5 პუქნტში გვხვდება ჩანაწერი: „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, გარდა სახელოვნებო–შემოქმედებითი ან სასპორტო უმაღლესი სპეციალობისა, არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ სწავლებისაგან. ის აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ ისეთი კვლევების დამოუკიდებლად ჩატარებას ან ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომელთა საფუძველზედაც ის შეძლებს სამაგისტრო ნაშრომის ან/და პროექტის წარდგენას, მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის თავისებურებების გათვალისწინებით.“ აქედან გამომდინარე, რადგან ზემოთ აღნიშნულ პუნქტში ხაზგასმით წერია სტუდენტის მიერ კვლევების დამოუკიდებლად ჩატარება და სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა, მიზანშეწონილია, სამაგისტრო ნაშრომებზე ინდივიდუალურად იმუშაონ სტუდენტებმა, რათა ნათელი იყოს თითეული მაგისტრანტის როლი სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში. ასევე აღსანიშნავია რომ აღნიშნული პრაქტიკა ართულებს სტუდენტის შეფასების პროცედურებს, რადგან სტუდენტი სრულად ვერ ფარავს შეფასების კრიტერიუმებით მოთხოვნილ ყველა კომპონენტს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია პროგრამას ჰქონდეს კიდევ უფრო მჭიდრო ინსტიტუციური კავშირები დამსაქმებელ ორგანიზაციებთან და სამომავლოდ გაიზარდოს იმ კომპანიების ჩამონათვალი, სადაც მაგისტრანტები შეძლებენ პრაქტიკის გავლას;
  - სასურველია, რომ სპეციალური ინგლისური ენის კურსი, რომელიც არჩევითი სტატუსითაა წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმში, არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ერთი სემესტრით და სემესტრულად რთულდებოდეს ამ კურსის ფარგლებში შესასწავლი მასალა.
  - სასურველია, ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შესახებ სტუდენტებთან აქტიური კომუნიკაცია და მათი ცნობიერების ამაღლება;
  - სასურველია, რომ უნივერსიტეტმა აღჭურვოს კომპიუტერული ლაბორატორიები როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მონაცემების ანალიზისთვის საჭირო ლიცენზირებული პროგრამებით, რომლებიც სტუდენტებს ულიმიტო და სრულფასოვანი მუშაობის საშუალებას მისცემს;
  - სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;
  - სასურველია სწავლის შედეგების ანალიზის შედეგად დაფიქსირებული ქულების სერიოზული ინფლაციის(წანაცვლებული მაღალი შეფასებების მიმართულებით) სიღრმისეული გამოკვლევა და სათანადო რეაგირების განხორციელება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ–ს სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული პროგრამის აღწერის დოკუმენტში და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს მოცემული პროგრამა. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ–ის და ფაკულტეტის მისიას, მიზნებს და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია თსუ–ს ვებგვერდის საშუალებით. თავად აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და პროგრამის აღწერა სრულფასოვნად არის მომზადებული. სოციოლოგიის პროგრამის აღწერასა და თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილია ორი მიზანი. პროგრამის პირველი მიზანია - **სტუდენტს შესძინოს სოციოლოგიის დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა თანამედროვე სოციალურ-თეორიულ, ასევე, სოციოლოგიური კვლევის ემპირიულ მეთოდებთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებზე**, ხოლო მეორე მიზანია – **პროფესიული ეთიკის სტანდარტებით შეიარაღებული დამოუკიდებელი მკვლევრის ჩამოყალიბება, რომელიც სოციოლოგიურ კვლევას ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან კავშირში განიხილავს.** სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნები კურსდამთავრებულისთვის ზოგადი კვალიფიკაციის მიცემას გულისხმობს, რაც უნივერსიტეტის შეგნებული გადაწყვეტილებაა და კარგად არის დასაბუთებული თვითშეფასების დოკუმენტში. პროგრამა არ არის ორიენტირებული რომელიმე დარგობრივი (კულტურის, რელიგიის, ოჯახის, სამართლის და ა.შ.) სოციოლოგიის, ან გამოყენებითი სოციოლოგიის ვიწრო სპეციალისტების აღზრდაზე. ამ გადაწყვეტილების მთავარი მიზეზი შეზღუდული შრომის ბაზარია, რომლის გათვალისწინებით პროგრამის ხელმძღვანელებმა თავი აარიდეს სოციოლოგიის მაგისტრთა დასაქმების არეალის უფრო დავიწროებას. აღნიშნული პოლიტიკის მიუხედავად, სტუდენტებს ერთგვარი არაფორმალური ტაქტიკის გამოყენებით ეძლევათ დარგობრივი კომპეტენციის განვითარების საშუალება. კურსების არჩევისას პირადი ინტერესის გათვალისწინებით სტუდენტი თავად ახდენს საკუთარი სპეციალიზაციის კონსტრუირებას. ზოგადი კვალიფიკაციის მოდელის არჩევა განაპირობებს იმას, რომ სოციალური თეორიები და სოციალური კვლევის მეთოდები სავალდებულო კურსების სიაშია შესული, ხოლო დარგობრივი სოციოლოგიები არჩევითი კურსების ჩამონათვალშია მოქცეული. როგორც პროგრამის საგნების სილაბუსების გაცნობა, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები აჩვენებს, რომ პროგრამის მიზნები მიღწევადი და რეალისტურია. უნივერსიტეტი ითვალისწინებს იმას, რომ საბაკალავრო საფეხურთან შედარებით სამაგისტრო საფეხური უფრო კომპლექსური და სიღრმისეული ცოდნის მიწოდებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. როგორც თვითშფასების დოკუმენტი, ასევე საგნების სილაბუსები და ვიზიტის ფარგლებში

ჩატარებული ინტერვიუები გვიჩვენებს, რომ სოციოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურები ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც კურსების შინაარსის, ასევე სწავლის მეთოდების და სასწავლო ლიტერატურის კუთხით. საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტებს სასწავლო მასალებში ძირითადად მეორეული ლიტერატურა მიეწოდებათ, ხოლო სამაგისტრო საფეხურზე მათ უმეტესად პირველწყაროებთან უწევთ მუშაობა; სოციოლოგიური კვლევის მეთოდების ფარგლებში სასწავლო სილაბუსები ძირითადად კონცენტრირებულია მონაცემთა ანალიზის მეთოდებზე; ბაკალავრიატის საფეხურისგან განსხვავებით, სადაც სწავლების ძირითადი ფორმას ლექცია წარმოადგენს, მაგისტრატურაში აქცენტი გადადის სტუდენტების პრეზენტაციაზე და დისკუსიაზე პროფესორებსა და სტუდენტებს შორის.
პროგრამას შეაქვს წვლილი სფეროს განვითარებისთვის, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო კუთხით. სტუდენტები პერიოდულად მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში და კვლევებში, პროფესორებთან თანამშრომლობით აქვეყნებენ სტატიებს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში. პროგრამა ამზადებს კურსდამთავრებულებს, რომლებზე მოთხოვნა განსაკუთრებით დიდია სახელმწიფო სექტორში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია https://old.tsu.ge/ge/about/mission_statement/
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018–2023 https://old.tsu.ge/data/file_db/PR/2018–2024_93990.pdf
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; მისია და სტრატეგია - https://rb.gy/8qj8at
- სოციოლოგიის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შრომის ბაზრის კვლევა (2021).

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ–მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგები გვიჩვენებს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები შემუშავებულია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე–7 დონის მოთხოვნების შესაბამისად და სრულად შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამაში ცხრა შედეგია მოცემული (სამი შედეგი კურსდამთავრებულის ცოდნისა და გაცნობიერების მიმართულებით; ოთხი შედეგი კურსდამთავრებულის უნარების მიმართულებით; ორი შედეგი კურსდამთავრებულის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიმართულებით). სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადია, რასაც ცხადყოფს სწავლის შეფასების ინსტრუმენტები. მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა თვალსაჩინოდ აჩვენებს პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის შესაბამისობას. კურიკულუმის რუკაში ასახულია, თუ საგანი რომელი შედეგის გაცნობაზე, განმტკიცებაზე, ჩაღრმავებასა და დახელოვნებაზე ზრუნავს.
მისასალმებელია, რომ პროგრამას აქვს შემუშავებული სამიზნე ნიშნულები, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები სწავლის თითოეულ შედეგს. უსდ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგს და სამიზნე ნიშნულებთან დადარებას, თუმცა არ არის განსაზღვრული, თუ სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში რა ზომები უნდა მიიღოს პროგრამამ. ამ მექანიზმის არსებობა მით უფრო საჭიროა იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაში ყველა სწავლის შედეგს აქვს საკმაოდ მაღალი სამიზნე ნიშნული (თითოეული შედეგის მიღწევისთვის განკუთვნილ სასწავლო კურსებს სტუდენტთა მინიმუმ 70% დაასრულებს 81 ქულაზე მაღალი შეფასებით საშუალოდ სტუდენტების 51% დაიცავს ნაშრომს „ფრიადზე"). სასურველია, რომ სამიზნე ნიშნულები რაც შეიძლება მაღალი მაჩვენებლის მიღწევაზე იყოს ორიენტირებული, მაგრამ მნიშვნელოვანია მათი რეალისტურობა. ვფიქრობთ, შესაძლებელია საჭირო გახდეს სამიზნე ნიშნულების ზღვარის დაწევა, რადგან სტუდენტთა 70%–ის მიერ 81 ქულაზე მაღალი შეფასების და სტუდენტთა 51%–ის მიერ A შეფასების მიღება ძალიან მაღალი ნიშნულია.
აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით გამოვლინდა ორი საყურადღებო საკითხი, რომელიც შეიძლება აფერხებდეს პროგრამის შედეგების სრულყოფილად მიღწევას. პროგრამის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე შედეგები გულისხმობს, რომ კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს ემპირიული კვლევის დაგეგმვის, წარმართვის და ანალიზისათვის გამოსადეგი უნარები, მაგრამ ვიზიტის ფარგლებში გამოჩნდა კვლევითი კომპონენტის პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები. ზემოთ ჩამოთვლილი შედეგების სრულყოფილად მიღწევისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მონაცემების ანალიზისთვის განკუთვნილი

პროგრამების ლიცენზირებული ვერსიების შესყიდვა. პროგრამის მეშვიდე შედეგის თანახმად, კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს საკომუნიკაციო ტექნიკების გამოყენებით ქართულ და უცხო ენაზე (ინგლისური) კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვა (კვლევის ობექტებთან–რესპონდენტებთან, ექსპერტებთან, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან). მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვრება ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა, სტუდენტები საკუთარ ენობრივ კომპეტენციას მაინც არ აფასებენ დადებითად. ისინი ისურვებდნენ დარგობრივი ინგლისურის კურსი არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ერთი სემესტრით.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. თვითშეფასების დოკუმენტი და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები: აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით. წარმოდგენილი პროგრამისთვის შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და მეთოდები, ორიენტირებულია უზრუნველყოს სამაგისტრო პროგრამის როგორც სასწავლო, ისე პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების ყველა ეტაპის შედეგების ეფექტიანი შეფასება. შეფასების პროცესის გამჭვირვალობისა და ვალიდურობისთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში მონაწილეობდეს პროგრამაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე. აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგების შეფასებას ახდენს პროგრამის შეფასების ჯგუფი, რომელშიც ჩართულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი, პროგრამის ხელმძღვანელი, აგრეთვე პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი.

სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს სფეროს სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა. დოკუმენტებში გვხვდება ბოლო სამი წლის შედეგების შემაჯამებელი ანგარიში, რაც დინამიკის და სამომავლო სტრატეგიის დასანახად კარგი ინსტრუმენტია. ბოლოს 3 წლის აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების ანალიზი აჩვენებს, რომ სტუდენტების აკადემიური მაჩვენებლების დინამიკა, არსებითად, შენარჩუნებულია. პროგრამის სავალდებულო საგნებში შეფასებები დაბალანსებულია, რაც კვლევის ანალიზის თანახმად მოწმობს იმას, რომ ამ საგნებში შეფასების სისტემა და კომპონენტები საკმარისად დივერსიფიცირებულია. თუმცა აღსანიშნავია, რომ რამდენიმე არჩევითი კურსის ფარგლებში სტუდენტთა 100%–ს უფიქსირდება მაქსიმალური შეფასება. კვლევის ამ მიგნების საპასუხოდ გვხვდება პრობლემური კურსების მონიტორინგის გაძლიერების რეკომენდაცია. ვიზიტის ფარგლებში ხარისხის სამსახურთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები აჩვენებს, რომ პროგრამაში ჩართული პროფესორ–მასწავლებლები იცნობენ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის როგორც ტრენინგების, ასევე უშუალოდ მათი საგნის მუშაობის პროცესში მიღებული რეკომენდაციების სახით. პროგრამაში ჩართულ სტუდენტებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ ისინი სისტემატურად იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამის შეფასების მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს წარმოადგენს უნივერსიტეტში დანერგილი კვლევები და გამოკითხვები: სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვა, უნივერსიტეტის

კურსდამთავრებულების გამოკითხვა. უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა; დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და დამსაქმებლებთან ინტერვიუდან ჩანს, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ცდილობს შრომის ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებას და პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებას. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, რაც დასტურდება დამსაქმებლებთან ჩატარებული გასაუბრების ფარგლებშიც. შრომის ბაზრის კვლევის შედეგებიდან იკვეთება, რომ დიდი მოთხოვნაა პრაქტიკოს სოციოლოგებზე, რომლებიც ემპირიული დასაქმების პროცესში ყველაზე დიდ გამოწვევას სამუშაოს შესრულების პრაქტიკული კვლევების კვალიფიციურად ჩატარების უნარ–ჩვევებს ფლობენ. ამ მოთხოვნას პროგრამა კვლევითი კომპონენტის გაძლიერებით და შრომით ბაზართან უფრო დაახლოებით პასუხობს. პროგრამაში გაზრდილია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდების კურსების საკრედიტო მოცულობა (χამში 25 კრედიტი). ასევე სოციოლოგიის პრაქტიკუმის ფარგლებში სტუდენტებს მიეცათ პრაქტიკის კვლევით ორგანიზაციებში გავლის შესაძლებლობა, რაც მათ ორგანიზაციების რეალურ კვლევით საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობას აძლევს. პრაქტიკუმში მონაწილე კვლევით ორგანიზაციებში სტუდენტების საქმიანობას ზედამხედველობას/სუპერვიზირებას ორივე მხარე ახორციელებს: თსუ პროფესორ–მასწავლებელი და ორგანიზაციის წარმომადგენელი/მკვლევარი, რომელიც ადგილზე ხელმძღვანელობს და აფასებს სტუდენტების ჩართულობას. χერχერობით პრაქტიკის გავლის საშუალება სტუდენტებს აქვთ ორ მნიშვნელოვან და დიდი გამოცდილების მქონე ორგანიზაციაში (CRRC; ISSA). კარგი იქნება, რომ პროგრამას ჰქონდეს კიდევ უფრო მჭიდრო ინსტიტუციური კავშირები დამსაქმებელ ორგანიზაციებთან და სამომავლოდ გაიზარდოს იმ კომპანიების ჩამონათვალი, სადაც მაგისტრანტები შეძლებენ პრაქტიკის გავლას. ეს საკითხი თვითშეფასების დოკუმენტში პროგრამის გასაუმχობესებელ მხარეებშიც გვხვდება, შესაბამისად ვვარაუდობთ, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს აქვთ ამ მიმართულებით მუშაობის მზაობა.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ პროგრამის ხელმძღვანელებიც, აკადემიური/მოწვეული პერსონალიც და სტუდენტებიც დადებითად აფასებენ პროგრამის პრაქტიკული მხარის გაძლიერებას. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობასა და რეალისტურობაზე მიუთითებს ის, რომ პროგრამის კურსდამთავრებულების 70.3% დასაქმებულია კვალიფიკაციის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა (დანართი 5);
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა (დანართი 5);
- პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება (დანართი 5);
- სოციოლოგიის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შრომის ბაზრის კვლევა (2021);
- სოციოლოგიის პროგრამების (სამაგისტრო, სამაგისტრო) სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების კვლევა/გამოკითხვის ანგარიში (2021);
- სამაგისტრო პროგრამის კატალოგი;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ბოლო სამი წლის შედეგების შემაχამებელი ანგარიში.
- დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- ➢ სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში ცხადად უნდა განისაზღვროს რეაგირების მექანიზმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ❖ სასურველია პროგრამას ჰქონდეს კიდევ უფრო მჭიდრო ინსტიტუციური კავშირები დამსაქმებელ ორგანიზაციებთან და სამომავლოდ გაიზარდოს იმ კომპანიების ჩამონათვალი, სადაც მაგისტრანტები შეძლებენ პრაქტიკის გავლას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☑			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება–სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ–ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განსაზღვრულია სამაგისტრო პროგრამის აღწერილობაში და შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. საერთო სამაგისტრო გამოცდების გზით ჩარიცხვის შემთხვევაში აღნიშნულს უზრუნველყოფს შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ჩარიცხვის უფლება სხვა აპლიკანტთა შემთვევაში განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სპეციალური ბრძანებით. კანონმდებლობის შესაბამისად სამაგისტრო პროგრამაზე დავების წინაპირობებში გათვალისწინებულია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებიც. სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: ● ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ● საერთო სამაგისტრო გამოცდა; ● გამოცდა სპეციალობაში (სოციოლოგიაში); ● გასაუბრება სპეციალობასა და უცხო ენაში (ინგლისური B2); ● სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით; ● სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. ამასთან, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. უნივერსიტეტის ვებგვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომია პროგრამის შესახებ ინფორმაცია. ასევე, მიღების წინაპირობები და საგამოცდო საკითხების ჩამონათვალი; თუმცა, ვებგვერდზე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია თუ რა კომპონენტებით და კრიტერიუმებით ხდება აპლიკანტის შეფასება გასაუბერებაზე. მნიშვნელოვანია, რომ ვებ–გვერდზე წარმოდგენილი იყოს ასევე ინფორმაცია საჯაროდ და გამჭვირვალედ, თუ რა კრიტერიუმებით მოხდება აპლიკანტის შეფასება როგორც გასაუბრებაზე, ისე, სპეციალობის გამოცდაზე და როგორ მოხდება ქულათა რაოდენობის მინიჭება თითოეული კომპონენტისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- მაგისტრატურაში მიღების წესი - https://www.tsu.ge/ge/legalakad/40984 ;
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ.

რეკომენდაციები:

➢ რეკომენდებულია, რომ უსდ–ს ვებგვერდზე წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია საჯაროდ და გამჭვირვალედ, თუ რა კრიტერიუმებით/კომპონენტებით მოხდება აპლიკანტის შეფასება როგორც გასაუბრებაზე, ისე, სპეციალობის გამოცდაზე და როგორ მოხდება ქულათა რაოდენობის მინიჭება თითოეული კომპონენტისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ–ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უსდ–ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით; პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს;

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შედგება: ა) სავალდებულო კურსებისგან (80 ECTS კრედიტი); ბ) არჩევითი კურსებისგან (30 ECTS კრედიტი) და თავისუფალი კრედიტებისგან (10 ECTS კრედიტი).

სავალდებულო კურსებს შორისაა, როგორც სოციალური თეორიები (პროტოსოციოლოგიური თეორიები, კლასიკური სოციალური თეორიები, თანამედროვე სოციალური თეორიები და პოსტმოდერნული სოციალური თეორიები), ისე სოციოლოგიური კვლევის მეთოდები (როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მეთოდებს). არჩევით კურსები ასევე მოიცავს დარგობრივ სოციოლოგიებს და მომიჯნავე სოციალური დისციპლინების შემადგენელ კურსებს, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას გაიღრმავოს ცოდნა სპეციფიკური მიმართულებით.

სავალდებულო და არჩევითი კურსების ჩამონათვალი და თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; თუმცა, ცალკეული კურსების შემთხვევაში შინაარსი იმეორებს საბაკალავრო საფეხურის თემატიკას (დეტალურად იხილეთ ქვესტანდარტი # 2.3.).

ასევე, მნიშვნელოვანია პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტების, მათ შორის, ძირითადი თეორიული სასწავლო კურსების თემატიკა არ მეორდებოდეს და იყოს თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; ეს თავის მხრივ, ასევე უზრუნველყოფს შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების ლოგიკურობას;

ასევე, მნიშვნელოვანია რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზის კურსი (SPSS ან STATA) იყოს სავალდებულო სტატუსით წარმოდგენილი კურიკულუმში, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის შედეგი, რომელიც გულისხმობს – "მაგისტრის მიერ სოციოლოგიური მონაცემების დამოუკიდებლად დამუშავებასა და გაანალიზებას". უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით სხვადასხვა კურსის (რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, მონაცემთა ანალიზი, სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი) სილაბუსებში შესულია საკითხები; თუმცა, ფრაგმენტულობის თავიდან აცილების მიზნით, ისევე როგორც მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის სწავლების მოცულობისა და კომპლექსურობის სამაგისტრო საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია ამ კურსის სავალდებულო სტატუსით არსებობა.

ასევე, კურიკულუმში მნიშვნელოვანია თვისებრივი მონაცემების კომპიუტერული დამუშავებისა და ანალიზის კურსის (NVivo, MAXQDA, ან სხვა) დამატება, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის შედეგი, რომელიც გულისხმობს - "მაგისტრის მიერ სოციოლოგიური მონაცემების დამოუკიდებლად დამუშავებას და გაანალიზებას". მიუხედავად იმისა, რომ კურსში "სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი 2" ცალკეული თემები ეთმობა ამ მიმართულებით პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, სწავლების მოცულობისა და კომპლექსურობის სამაგისტრო საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია ამ კურსის სავალდებულო სტატუსით არსებობა.

რამდენადაც პროგრამის ერთერთ შედეგად განსაზღვრულია - ''*საკომუნიკაციო ტექნიკების გამოყენებით ეფექტურად წარმართავა კომუნიკაციის ქართულ და უცხო ენაზე (ინგლისური) შესაბამის აუდიტორიასთან (კვლევის ობიექტებთან–რესპონდენტებთან, ექსპერტებთან, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან).*'' – სასურველია, რომ დარგობრივი ინგლისურის კურსი, რომელიც არჩევითი სტატუსითაა წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმში არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ერთი სემესტრით და სემესტრულად რთულდებოდეს ამ კურსის ფარგლებში შესასწავლი მასალა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა და სასწავლო კურსები;
- თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N 100/2019 დადგენილება "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ";
- ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩო;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- ➢ რეკომენდებულია, რაოდენობრივი მონაცემების კომპიუტერული ანალიზის კურსი (SPSS, ან STATA) გახდეს სავალდებულო;
- ➢ რეკომენდებულია, თვისებრივი მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის კომპიუტერული პროგრამის (NVivo, MAXQDA ან სხვ.) სავალდებულო კურსის დამატება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ❖ სასურველია, რომ სპეციალური ინგლისური ენის კურსი, რომელიც არჩევითი სტატუსითაა წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმში, არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ერთი სემესტრით და სემესტრულად რთულდებოდეს ამ კურსის ფარგლებში შესასწავლი მასალა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო

კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია ECTS კრედიტებში. სასწავლო კურსის შექმნის და მისთვის სათანადო კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებულია როგორც საკონტაქტო ასევე, დამოუკიდებელი მუშაობის საათები, რომელთა მოცულობა და მათ შორის თანაფარდობა განსაზღვრულია სტუდენტის სასწავლო დატვირთვის, სასწავლო კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით. ცალკეული კურსების შემთხვევაში კურსების შინაარსი იმეორებს საბაკალავრო საფეხურის შინაარსს. მაგალითად, სამაგისტრო კურსის – *"მონაცემთა ანალიზი"* – სილაბუსში სასწავლო თემატიკა და სავალდებულო ლიტერატურა იდენტურია საბაკალავრო საფეხურის კურსის - "მონაცემთა ანალიზი" - სილაბუსის. მნიშვნელოვანია, რომ სამაგისტრო საფეხურზე მონაცემთა ანალიზის სწავლება გაღრმავებული იყოს და ითვალისწინებდეს შესაბამის უახლეს ლიტერატურასა და კვლევებს მოცემულ სფეროში. *კურიკულუმში* სავალდებულო თეორიულ კურსებს, როგორიცაა *თანამედროვე სოციალური თეორიები I, თანამედრივე სოციალური თეორიები II, პოსტმოდერნული სოციალური თეორიები,* სულ 15 კრედიტი ეთმობა. სასწავლო კურსის ფარგლებში - *თანამედროვე სოციალური თეორია I,* რომლის მიზანს მაგისტრანტებისთვის თანამედროვე სოციოლოგიური თეორიების შესწავლა წარმოადგეს, მე–2, მე–3, მე–4, ლექციები ეთმობა თემატიკას "კლასიკური სოციოლოგიური თეორიებიდან". კერძოდ, *"თემა 2. მაქს ვებერის ინტერპრეტაციული სოციოლოგია; მაქს ვებერის რელიგიის სოციოლოგია (მე–2, მე–3 კვირა). თემა 3. ემილ დიურკემის პოზიტივისტური სოციოლოგია (მე–4 კვირა)."* თუ ვივარაუდებთ, რომ კურსის ავტორის ამოცანას წარმოადგენს თანამედროვე სოციოლოგიურ თეორიაში სოციოლოგიის ინტერპრეტაციული და პოზიტივისტური პარადიგმების ახსნა მისი სათავეების, კლასიკური ტექტსტების განხილვით, მაშინ, კურსის მიზნებიდან გამომდინარე ამ უკანასკნელის განხლვას შეიძლება ქონდეს გაცნობითი ხასიათი და შემოიფარგლებოდეს ერთი თემატური ლექციით. მოცემულ შემთხვევაში კლასიკური თეორიებისთვის 4 ლექციის დათმობა ერთი მხრივ არ არის შესაბამისობაში კურსის მიზნებთან და შინაარისთან და მეორე მხრივ, იმეორებს საბაკალავრო საფეხურზე მიწოდებულ შინაარსს. რაც შეეხება თემას – *მაქს ვებერის რელიგიის სოციოლოგია,* რომელიც თავის მხრივ არ კვალიფიცირდება თანამედროვე სოციოლოგიურ თეორიად, უშუალოდ პარადიგმული (ინტერპ. VS პოზიტივიზმი) საკითხის კონტექსტიდან ამოვარდნილია. ერთერთ პრობლემას თეორიული კურსების შემთხვევაში წარმოადგენს თემატიკის გადაფარვა და გამეორება. კერძოდ, სასწავლო კურსის - *თანამედროვე სოციალური თეორიები II* სილაბუსში, ასევე შესულია პოსტმოდერნული თეორიები და ავტორები მაშინ, როდესაც კურიკულუმში ცალკე არსებობს სასწავლო კურსი - *პოსტმოდერნული სოციალური თეორიები. თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები I* სასწავლო კურსის სილაბუსში მე–11 ლექციის თემაა – **"***ჟან ბოდრიარის რადიკალური პოსტმოდერნისტული მიდგომა".* აღნიშნული ავტორის თეორია ასევე ისწავლება ცალკე თემად სასწავლო კურსში - *პოსტმოდერნული სოციალური თეორიები*. ასევე, სასწავლო კურსის – *თანამედროვე სოციალურ თეორიები II* – სილაბუსში მე–12 ლექცია ეთმობა თემას - "მიშელ ფუკო: ეპისტემე და დისკურსი". იგივე თემას - *მიშელ ფუკო: დისკურსი* და

ძალაუფლება 7-8 ლექციები ეთმობა სასწავლო კურსის სილაბუსში *პოსტმოდერნული სოციალური თეორია*. თემების შესაბამისად, მეორდება ლიტერატურაც.
მნიშვნელოვანია, რომ დასახელებული სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში თემები არ მეორდებოდეს და სილაბუსის შინაარსი, თემატიკა შეესაბამებოდეს კურსის შინაარსსა და მიზნებს.

სტანდარტთან შესაბამისობის თვალსაზრისით პრობლემურია ასევე ცალკეულ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და მათი შესაბამისობა სწავლის საფეხურთან და შედეგებთან; მაგალითად, სასწავლო კურსის სილაბუსში – *პოსტმოდერნული სოციალური თეორიები* 1, 2, 3, 4, 15, სავალდებულო ლიტერატურას წარმოადგენს არა ავტორების ორიგინალი ტექსტები, არამედ მათი ინტერპრეტაცია სხვა ავტორების მიერ წარმოდგენილი სახელმძღვანელოსა და ქრესტომათიებში. ეს უკანასკნელი ძირითად სასწავლო ლიტერატურად შეიძლება განისაზღვროს საბაკალავრო სწავლების საფეხურზე. ამასთან დაკავშირებით პროგრამის წარმომადგენელთა მხრიდანაც დაფიქსირდა ამ პრინციპის გათვალისწინების აუცილებლობა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ლიტერატურა შეესაბამებოდეს სასწავლო საფეხურს; მაგ, მე–15–ე თემასთან მითითებული სავალდებულო ლიტერატურა - *"ენთონი ელიოტის - თანამდროვე სოციალური თეორია" (Anthony Elliott – Contemporary Social Theory)* წარმოაადგენს შესავალ სახელმძღვანელოს თანამედროვე სოციალურ თეორიაში, რომელიც სპეციფიკიდან გამომდინარე საბაკალავრო საფეხურისთვისაა რელევანტური. ეს სახელმძღვანელოა მითითებული ასევე 5, 6, 7, 8, 11, 12 თემასთან, როგორც სავალდებულო ლიტერატურა, სხვა ორიგინალ ნაშრომთან ერთად.

კურსის *"პრაქტიკუმი სოციოლოგიაში 1"* სილაბუსში მეორდება სასწავლო კურსის – *"სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები"* სასწავლო თემატიკა და ასევე მეორდება რიგ შემთხვევებში ცალკეული სავალდებულო ლიტერატურა;

მაგალითად, სასწავლო კურისის - *"სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივ მეთოდები"* სილაბუსში პირველი ლექციის თემაა:

"განსხვავება სოციალური კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს შორის. სოციალური კვლევა და თეორია: თეორიის კონსტრუირების პროცესი და თეორიის შემოწმების პროცესი. მასობრივი გამოკითხვა, როგორც რაოდენობრივი კვლევის ძირითადი მეთოდი და მისი მოკლე ისტორია."

იგივე თემა მეორდება კურსის - *"პრაქტიკუმი სოციოლოგიაში 1"* სილაბუსის პირველ ლექციაში - " პირველი თემა –

"განსხვავება სოციალური კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს შორის. სოციალური კვლევა და თეორია: თეორიის კონსტრუირების პროცესი და თეორიის შემოწმების პროცესი. მასობრივი გამოკითხვა, როგორც რაოდენობრივი კვლევის ძირითადი მეთოდი. მისი მოკლე ისტორია და მეცნიერული თავისებურებები."

კითხვები ჩნდება ასევე კვლევის მეთოდების კურსებსა და პრაქტიკუმის კურსებს შორის თემატიკისა და მიზნების გადაფარვა/დუბლირებასთან დაკავშირებით. მაგალითად, სასწავლო კურისის *"სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივ მეთოდები"* მიზნად განსაზღვრულია *"პრაქტიკულ სამუშაოების განხორციელება, როგორიცაა კვლევის დიზაინის შედგენა, შერჩევის განხორციელება, კითხვარის შექმნა და სტრუქტურირებული ინტერვიუს ჩატარება."* შესაბამისად, ჩნდება კითხვა, თუ სილაბუსში მითითებული საკითხების თეორიულ შესწავლასთან ერთად სტუდენტი სწავლობს მათ პრაქტიკაში გამოყენებას, რამდენად გამართლებულია იდენტური საკითხების შესწავლა და პრაქტიკაში განხორციელება განმეორებით ცალკე კურსის *"სოციოლოგიური პრაქტიკუმი 1"* ფარგლებში?

მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსის სილაბუსები სათანადოდ ითვალისწინებდეს ახალი კვლევის შედეგებსა და სფეროს თანამედროვე მიღწევებს, მათ შორის, არა მხოლოდ თეორიულ, არამედ კვლევით და მეთოდოლოგიურ კურსებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საგანმანათლებლო პროგრამა; ● სასწავლო კურსების სილაბუსები; ● სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი; ● აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 მაისის N37 დადგენილება სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/–rclvnw2leoho4whd/372020/; ● თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N 100/2019 დადგენილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“; ● დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ➢ რეკომენდებულია, სავალდებულო თეორიულ კურსებს შორის თემების გამეორება/დუბლირების გამორიცხვა, და მათ შორის ლოგიკური თანმიმდევრობის პრინციპის დაცვა; ➢ რეკომენდებულია, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებდეს ახალი კვლევის შედეგებსა და სფეროს თანამედროვე მიღწევებს. მათ შორის, არა მხოლოდ თეორიულ, არამედ კვლევით და მეთოდოლოგიურ კურსებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის და სასწავლო კურსების სილაბუსების გაცნობის შედეგად გაირკვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. გარდა ამისა, პროგრამა ასევე ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა კვლვით პროექტებში, ასევე მათ მონაწილეობას უნივერსიტეტის სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებებთან/ცენტრებთან არსებულ სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში, ისევე როგორც, სტუდენტურ, მათ შორის, ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციებში.

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება ასევე სოციოლოგიის პრაქტიკუმის სავალდებულო კურსი, რომელიც სულ 15 კრედიტის მოიცავს; როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია მითითებული, პრაქტიკუმის ფარგლებში სტუდენტები გამოიმუშავებენ პრაქტიკულ უნარებს; თუმცა, როგორც ქვესტანდარტ # 2.3 –ში აღინიშნა, კვლევის მეთოდების კურსებსა და პრაქტიკუმის კურსებს შორის ადგილი აქვს თემატიკისა და მიზნების გადაფარვა/დუბლირებას, რაც, თავის მხრივ, აჩენს კითხვებს. შესაბამისად, პრაქტიკის კომპონენტთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამამ ასევე იფიქროს სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილების მიღებაზე უშუალოდ კვლევით ორგანიზაციებში; ამ მიზნის განხორციელებაში მნიშვნელოვანია, როგორც ფაკულტეტის ასევე, უნივერსიტეტის მხრიდან სათანადო მხარდაჭერა;

ასევე, პრაქტიკული დავალებები და პრეზენტაციები, რომლებსაც სტუდენტები ასრულებენ პრაქტიკულად ყველა სასწავლო კურსის ფარგლებში გულისხმობს შესაბამისი კვლევითი უნარების გამომუშავებას. თავის მხრივ, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ვალდებულება, რომელიც ორიგინალური კვლევის პრდუქტს უნდა წარმოადგენდეს, ემსახურება სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარებას;

ასევე, თსუ–ს მიერ ორგანიზებულია ყოველწლიური სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციები, რომელში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობაც აქვთ სოციოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს.

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ასევე გამოაქვეყნონ თავიანთი სამეცნიერო სტატიები ელექტრონულ ჟურნალში - "სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში", რომელიც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოდის.

სამეცნიერო აქტივობები წარმოადგენს ასევე პროგრამის სტუდენტებისთვის სტიპენდიის მოპოვების წინაპირობას და სტიპენდიის ჯამური ქულის 20% სწორედ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და სამეცნიერო სტატიების რაოდენობით გამოითვლება, რაც მნიშვნელოვნ სტიმულს წარმოადგენს სტუდენტებისთვის მათი სამეცნიერო აქტივობების გაზრდის თვალსაზრისით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი;
- აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 მაისის N37 დადგენილება სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/–rclvnw2leoho4whd/372020/
- საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის წესი;
- ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია;
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;
- ფაკულტეტის ვებ–გვრედი https://bit.ly/3xy32iP
- სამეცნიერო აქტივობა;
- „ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი“ – ***http://jyr.tsu.ge/index.php/Hoome/journal/ge***

რეკომენდაციები:

➢ რეკომენდებულია, პროგრამამ ხელი შეუწყოს სტუდენტებს პრაქტიკული გამოცდილების მიღებას უშუალოდ კვლევით ორგანიზაციებში; ამ მიზნის განხორციელებაში მნიშვნელოვანია როგორც ფაკულტეტის ასევე, უნივერსიტეტის მხრიდან სათანადო მხარდაჭერა, რათა დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება–სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება–სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება–სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას;

სასწავლო კურსის სილებუსებში მითითებული და აღწერილი თიეთოეული სწავლება–სწავლის მეთოდი არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში სწავლებისა და სწავლის შემდეგ მეთოდები გამოიყენება:

- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის,ან ესსეს შესრულება, და ა.შ.;
- პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება, აგრეთვე მეთოდები, როგორებიცაა:

- დისკუსია, დებატები;
- ჯგუფური მუშაობა(cooperative/collaborative);
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- შემთხვევის ანალიზი;
- გონებრივი იერიში(Brain storming);
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა. სწორედ აღნიშული მიზნით უნივერსიტეტში შემუშავებულია და დამტკიცებულია N71–ე და N68–ე დადგენილებები, რომელიც ავალდებულებს ფაკულტეტსა და ლექტორს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ერთად, უზრუნველყონ სტუდენტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების დადგენა და მასზე რეაგირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 68/2018 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ: https://old.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/682018/;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 71/2018 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა

საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ https://old.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/712018/.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ–მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამით გათვალისწინებული შეფასების სისტემა გამოიყენება სამართლიანად ყველა სტუდენტის მიმართ. პროცედურები გამჭვირვალეა და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: დასწრება/ აქტიურობა სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობაზე, კოლოქვიუმი და ქვიზები, დისკუსიაში მონაწილეობას, სასემინარო წერითი სამუშაოებს, საშინაო (პრაქტიკული) დავალებებს, ზეპირი პრეზენტაციებს, ასევე ზეპირი ან/და წერითი გამოცდის ჩატარებას.

სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება როგორც შუალედური, ისე ფინალური შეფასების გზით. შეფასების თითოეული ფორმისთვის დადგენილია კომპეტენციის ზღვარი. გამოყენებული შეფასების სისტემა უმეტესად მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევისაკენ. უმეტეს შემთხვევაში, შეფასების კომპონენტებში გათვალისწინებულია დასწრება–აქტივობის კომპონენტი ცალ–ცალკე, რომლის შესაბამისად ფასდება არა მხოლოდ აქტივობა, არამედ დასწრებაც. ვინაიდან, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხდება ისეთი ტიპის შეფასებით, რომელიც ახდენს ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასებას, დასწრებით კი ვერ ფასდება ცოდნა/უნარი/კომპეტენცია, რეკომენდებულია გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმები შესაბამის სილაბუსებში.

თვითშეფასების გაცნობისა და ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ თითოეული ლექტორი თავად ირჩევს შეფასების მეთოდებს, განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებსა და შესაბამის ქულებს სხვადასხვა აქტივობების მიხედვით. თითოეული სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით, ხოლო სასწავლო კურსის კრედიტს სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაში, თუ მან აღნიშნულ სასწავლო კურსში, შუალედური და დასკვნითი შეფასების გზით, მინიმუმ 51 ქულა დააგროვა.

გარდა, აღნიშნულისა, სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის რამდენიმე სილაბუსის შეფასების კომპონენტში გამოიკვეთა შეფასების ქულებს შორის დიდი შუალედი (36–31, 30–25, 19–10). მაგალითად, სასწავლო კურსის სილაბუსში "დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური სტრუქტურა შედარებით პერსპექტივაში" შეფასების ფორმების და ქულების ნაწილში, პრეზენტაციის და დასკვნითი გამოცდის შეფასებაში ერთსა და იმავე კრიტერიუმში გვხვდება 10 ქულიანი შუალედიც. მაგ.:

"**40-30 ქულა** - პასუხი სრულია. საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული როგორც შინაარსობრივი, ისე არგუმენტაციის თვალსაზრისით. პასუხის სტრუქტურა გამართულია. თითქმის არ არის შეცდომები. ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა.

29-20 ქულა – პასუხი ნაწილობრივ სრულია. საკითხი მეტწილად კარგად არის გამოცემული, მაგრამ შინაარსობრივი და/ან არგუმენტაციის თვალსაზრისით ამომწურავი არ არის. პასუხის სტრუქტურა დასახვეწია. არის რამდენიმე შეცდომა. ტერმინოლოგია მეტწილად დაცულია. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.

19-10 ქულა - პასუხი არასრულია. საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული, მაგრამ აქვს ნაკლოვანებები შინაარსობრივი და/ან არგუმენტაციის თვალსაზრისით. პასუხის სტრუქტურა ბოლომდე გამართული არ არის. არის რამდენიმე სერიოზული შეცდომა. ტერმინოლოგია მეტ–ნაკლებად დაცულია. სტუდენტი დამაკმაყოფილებლად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწილობრივ ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა". მიზანშეწონილია, ქულებს შორის არსებული დიაპაზონის შემცირება ან განმარტება, თუ რა შემთხვევაში იღებს სტუდენტი მაქსიმალურ ქულას და რა შემთხვევაში, მოცემული ქულებიდან, მინიმალურს.

სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე - მეოთხე სემესტრში სტუდენტი ასევე ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც მოიცავს 30 კრედიტს და ფასდება 100 ქულით. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი/ხარისხი მიენიჭება წინასწარ დადგენილი ჯამური მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში – 51 ქულა. როგორც ონლაინ–ვიზიტისას გამოიკვეთა, სტუდენტები გარდა აღნიშნული შეფასების სისტემისა, ასევე

კარგად იცნობენ ნაშრომის აკადემიური კუთხით გაფორმებისა და პლაგიატის პროგრამაში მოცემული ნაშრომის შემოწმების წესებსაც.

პროფესორებთან და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად, ასევე უსდ–ს თვითშეფასების გაცნობის საფუძველზე გამოვლინდა, რომ სტუდენტები სემესტრის განმავლობაში იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. ხშირ შემთხვევაში, პროფესორ–მასწავლებლები სტუდენტებთან ინდივიდუალურად განიხილავენ მიღებულ შედეგებსა და გასცემენ შესაბამის რეკომენდაციებს. ელექტრონული სწავლების პლატფორმა e-learning.tsu.ge საშუალებას აძლევს სტუდენტებს ინდივიდუალურად გაეცნონ შეფასების შედეგებს. აღნიშნული ელექტრონული პლატფორმა უზრუნველყოფს მაქსიმალურ ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სისტემატურად ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. უსდ ცდილობს მაქსიმალურად გაითვალისწინოს შეფასების შედეგები, გაანალიზოს ისინი და აისახოს ცვლილებები შესაბამისი კურსების სილაბუსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ – დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უსდ–ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- ➢ რეკომენდებულია გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმები სილაბუსებში, სადაც ფასდება დასწრება აქტივობისგან დამოუკიდებლად.
- ➢ რეკომენდირებულია, სილაბუსებში მოცემული შეფასების კომპონენტების დაზუსტება. კერძოდ, ქულებს შორის არსებული დიაპაზონის შემცირება ან განმარტება, თუ რა შემთხვევაში იღებს სტუდენტი მაქსიმალურ ქულას და რა შემთხვევაში მინიმალურს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☑		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას დადასტურდა, რომ უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტზე ორიენტირებული გარემო. სტუდენტს შეუფერხებლად მიეწოდება სასწავლო პროცესის დაგეგმვა–განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება, როგორც ადმინისტრაციული ასევე აკადემიური პერსონალის მხრიდან. სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციებისა თუ სხვა მხარდამჭერი აქტივობების შესახებ. სასწავლო კურსების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის არჩევის პროცესში დაწესებულება სტუდენტთა ინტერესებს მაქსიმალურად იღებს მხედველობაში.

სტუდენტებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, საბიბლიოთეკო რესურსებსა და სასწავლო გეგმაზე. უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალის მეშვეობით ყველა სერვისის ხელმისაწვდომობა მოქნილი და კომფორტულია. უნივერსიტეტის მიერ დამსაქმებელთა, პროფესორ–მასწავლებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეფასებებით მიღებული უკუკავშირის შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტირებულია სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სხვადასხვა საგანმანათლებლო და აკადემიურ აქტივობებში ჩართვის. ისინი ინფორმირებულები არიან ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, კონფერენციებისა და კვლევების შესახებ. ასევე, აქვთ ხელმისაწვდომობა საერთაშორისო გაცვლით პროექტებსა და სტაჟირებაზე.

სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით, სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვადასხვა რგოლისგან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, მუდმივ რეჟიმში იღებენ უკუკავშირს პროფესორ–მასწავლებლებისგან. მათ შორის, ლექტორთა დატვირთვის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია საკონსულტაციო დატვირთვა. ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტთა რეკომენდაციებს პროგრამის განვითარების პროცესში.

უნივერსიტეტში გამართულია მატერიალურ–ტექნიკური ბაზა და სტუდენტს სრული წვდომა აქვს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებზე. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საჭიროა ელ–სამეცნიერო ბაზების შესახებ ცნობიერების ამაღლება.
უნივერსიტეტში შექმნილი გარემო სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების სტანდარტის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- სოციოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგები - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უსდ–ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ–მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შესახებ სტუდენტებთან აქტიური კომუნიკაცია და მათი ცნობიერების ამაღლება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურა, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის შერჩევისა და ვალდებულებების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი ან საგანმანათლებლო პროგრამაში მოწვეული პირი, რომელსაც აქვს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება.

ამჟამად არსებული სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების კვალიფიკაცია სრულებით შეესაბამება კვლევის მიმართულებას. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში აიყვანონ თანახელმძღვანელიც.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე გვხვდება შემთხვევები, როცა ორი სტუდენტი ერთად მუშაობს ერთ სამაგისტრო ნაშრომზე და მათთვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება საერთო სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგად. ამავდროლად, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის N48 მუხლის N5 პუქნტში გვხვდება ჩანაწერი: „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, გარდა სახელოვნებო–შემოქმედებითი ან სასპორტო უმაღლესი სპეციალობისა, არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ სწავლებისაგან. ის აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ ისეთი კვლევების დამოუკიდებლად ჩატარებას ან ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომელთა საფუძველზედაც ის შეძლებს სამაგისტრო ნაშრომის ან/და პროექტის წარდგენას, მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის თავისებურებების გათვალისწინებით.“ აქედან გამომდინარე, რადგან ზემოთ აღნიშნულ პუნქტში ხაზგასმით წერია სტუდენტის მიერ კვლევების დამოუკიდებლად ჩატარება და სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა, მიზანშეწონილია, სამაგისტრო ნაშრომებზე ინდივიდუალურად იმუშაონ სტუდენტებმა, რათა ნათელი იყოს თითეული მაგისტრანტის როლი სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში. ასევე აღსანიშნავია რომ

აღნიშნული პრაქტიკა ართულებს სტუდენტის შეფასების პროცედურებს, რადგან სტუდენტი სრულად ვერ ფარავს შეფასების კრიტერიუმებით მოთხოვნილ ყველა კომპონენტს.

დამტკიცებული სამაგისტრო ნაშრომის მომზადება ხორციელდება ხელმძღვანელის უშუალო კონსულტირებითა და მონიტორინგით. თემის ხელმძღვანელებს რეგულარული შეხვედრები აქვთ მაგისტრატურის სტუდენტებთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას. ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სტუდენტთან სამაგისტრო საფეხურზე შესაბამისი სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ–ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგები - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უსდ–ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

- ➢ რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომებზე ინდივიდუალურად იმუშაონ სტუდენტებმა, რათა ნათელი იყოს თითეული მაგისტრანტის როლი სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში და აღნიშნული საკითხი თანხვედრაში მოვიდეს უმაღლესი განათლების შესახებ კანონთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო–კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; პროგრამის სტუდენტები, უსდ–ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც თანდართული დოკუმენტების შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. აკადემიური კადრების კვალიფიციურობას განაპირობებს თავად უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკაც. თსუ–ს ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა ხდება კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით და აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული არიან მხოლოდ ის პირები, ვისაც აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი და დასაკავებელი ვაკანსიის შესაბამისი პედაგოგიური გამოცდილება (პროფესორს არანაკლებ 6 წლის და ასოცირებულ პროფესორს არანაკლებ 3 წლის გამოცდილება). შერჩევისას გათვალისწინებულია სხვადასხვა სამეცნიერო კომპონენტები, მაგალითად, პროდუქტიულობა სამეცნიერო კვლევის მიმართულებით, საერთაშორისო და

ეროვნული საგრანტო პროექტების ხელმძღვანელობა ან მონაწილეობა, უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან ერთობლივ სასწავლო ან სამეცნიერო პროექტებსა და პროგრამებში მონაწილება, სამეცნიერო მივლინება ან სტაჟირება უცხოეთში.

აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და აკრედიტაციის ვიზიტი აჩვენებს, რომ პროგრამაში ჩართულ პირებს აქვთ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. პერსონალის კვალიფიკაციას ადასტურებს პერსონალის სამეცნიერო აქტივობის ამსახველი დოკუმენტიც, რომელიც ბოლო 10 წლის ფარგლებში განხორციელებული პუბლიკაციების, საგრანტო პროექტების, კონფერენციების და სხვა მიღწევების ჩამონათვალს გვაწვდის. აღნიშნული დოკუმენტი, პერსონალის პირადი საქმეები და ჩატარებული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის (ევროპისა და ამერიკის) უნივერსიტეტებთან, იღებს მონაწილეობას საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებსა და ტრენინგებში. პროგრამაში ჩართული პროფესორები აქტიურად არიან ჩართულები სამეცნიერო–კვლევით საქმიანობაში. რამდენიმე პროფესორი მუშაობს, ან ხელმძღვანელობს ისეთ ავტორიტეტულ სოციოლოგიურ კვლევით ცენტრებს, რომლებიც მნიშვნელოვან ემპირიულ კვლევებს ატარებენ სხვადასხვა მიმართულებით.
სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ჩართულია 13 აკადემიური და 8 მოწვეული პერსონალი, მათ შორის ერთი უცხოელი პედაგოგიც. მისასალმებელია, რომ სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კურსების სწავლებაში ჩართული პედაგოგებიდან თითქმის ყველა დეპარტამენტის შტატიანი თანაშრომელია (სრული პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი). არჩევითი კურსების სწავლებაში ჩართული პროფესორ–მასწავლებლების 60%–მდე ასევე უნივერსიტეტთან არის აფილირებული. მოწვეული პროფესორებიდან თითქის ყველა მეცნიერებათა დოქტორია (4 არის დოქტორანტი). ეს მონაცემები დადებითად აისახება პროგრამაზე და ქმნის მისი მდგრადობის საფუძველს.
აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა და კომპეტენცია უზრუნველყოფს საგნების მრავალფეროვან არჩევანს და პროგრამის მდგრადობას. აკადემიური პერსონალის დატვირთვა განაწილებულია თსუ–ს მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციის შესაბამისად. თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული დატვირთვა საშუალებას იძლევა, აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო აქტივობების განხორციელება და დაკისრებული ფუნქციების სათანადოდ შესრულება, მაგრამ აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სასწავლო დატვირთვა რიგ შემთხვევაში აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობისთვის ხელისშემშლელია.
სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამას ჰყავს მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი, რომლსაც აქვს სოციოლოგიის დოქტორის და თსუ–ს სრული პროფესორის სტატუსი. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება და პროგრამას ხელმძღვანელობს 2003 წლიდან. მას მნიშვნელოვანი კონტრიბუცია აქვს შეტანილი სხვადასხვა საგანმანათლებლო ინიციატივების განხორციელებაში. ძალიან შთამბეჭდავია პროგრამის ხელმძღვანელის სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებელი. ის დარგისთვის მნიშვნელოვანი მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების ავტორია. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ამასთანავე საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის („Social Policy and Social Work in Transition“) თანარედაქტორია და მჭიდრო თანამშრომლობა აქვს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ევროკავშირი, გაეროს ორგანიზაციები, ამერიკის საერთაშორისო განვითარებს სააგენტო და სხვა). თანდართულ დოკუმენტებში ნათლად არის ჩამოყალიბებული პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, მაგალითად, პროგრამის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და მისი მუდმივი შიდა და გარე მონიტორინგი; პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების ჯგუფის კოორდინირება; სტუდენტებთან ეფექტიანი კომუნიკაციის პროცესის წარმართვა და მათი სასწავლო პროცესის მონიტორინგი. თვითშეფასების დოკუმენტის შესწავლისა და აკრედიტაციის

ვიზიტის შედეგად ჩანს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობდა თვითშეფასების ჯგუფის საქმიანობაში და პროგრამის გაუმჯობესების პროცესში.

პროგრამის განხორციელებაში აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორების გარდა მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და სხვა სტრუქტურული ერთეულები. პროგრამის სტუდენტები ასევე უზრუნველყოფილები არიან შესაბამისი რაოდენობის, ცოდნისა და კვალიფიკაციის ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალით, რომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ყოველი კონკრეტული პოზიციისათვის, სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომოდინარე. გარდა ზოგადსაუნივერსიტეტო ორგანოებისა, ფაკულტეტის ადმინისტრაციულ და დამხმარე ორგანოებს წარმოადგენს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესისა და მართვის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, ბიბლიოთეკა, მულტიმედია ცენტრი და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და საქმიანობის წესი;
- აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;
- ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულების ნიმუშები;
- თსუ–ის აკადემიური საბჭოს დადგენილება N118/2014, 22 დეკემბერი, „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ (დამტკიცებული თსუ– ის წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმით N10, 29.12.2014 წ.)
- თსუ–ის აკადემიური საბჭოს დადგენილება №81/2018, 26 თებერვალი, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ. https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/812018//
- თსუ–ის აკადმიური საბჭოს დადგენილება №64/2018, 19 თებერვალი, სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ–პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ
- https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/642018//
- თსუ–ის აკადმიური საბჭოს დადგენილება №113/2018, 19 თებერვალი,სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ–პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ. https://www.tsu.ge/ka/legalakad/16028;
- სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება;

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- დოკუმენტი თსუ–ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგოს შესახებ;
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით (თვითშეფასების რაოდენობრივი მაჩვენებელი);
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით (თვითშეფასების რაოდენობრივი მაჩვენებელი);
- პერსონალის სამეცნიერო აქტივობის ამსახველი დოკუმენტი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ–მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ სისტემატურად აწარმოებს სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პერსონალის მართვის დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის პერსონალის მართვასთან დაკავშირებული სამუშაოების ორგანიზებას, კოორდინაციას, კონტროლსა და რეალიზაციას. 2018 წელს განხორციელდა პერსონალის მართვის დეპარტამენტის ორგანიზაციული შეფასება, რომლის საფუძველზეც შემუშავდა რეკომენდაციები სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის (მათ შორის, სამსახურის დებულების, პერსონალის სამუშაო აღწერილობების და შეფასების კრიტერიუმების სარეკომენდაციო პროექტები). უნივერსიტეტში არსებობს სილაბუსების სარეკომენდაციო ფორმა და ხორციელდება მათი შეფასებისა და სტანდარტთან შესაბამისობის პრაქტიკა. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კვლევისა და სწავლებასთან დაკავშირებული პროცესის რეგულარულ შეფასებას. უნივერსიტეტის პერსონალის სასწავლო, სამეცნიერო–კვლევითი და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასება ხდება აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი პერსონალის შეფასების წესით განსაზღვრული თვითშეფასების ანგარიშების და მათში წარმოდგენილი კრიტერიუმების საფუძველზე. თვითშეფასება მოიცავს ინფორმაციას როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო პროდუქტიულობის შესახებ, კერძოდ, საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობას, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, ადგილობრივ და საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებას, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების გამოცემას. პერსონალის თვითშეფასების შედეგებს განიხილავენ და აფასებენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების საბჭოები და სამეცნიერო საბჭოები. თვითშეფასების პროცესი მიზნად ისახავს, რომ პერსონალმა აღიქვას უნივერსიტეტის მხრიდან მის მიმართ არსებული მოლოდინები. ასევე თვითშეფასების პროცესის შედეგად წარმოებს პერსონალის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი; პერსონალის განვითარების საჭიროებების გამოვლენა; ინდივიდუალური პოტენციალის აღმოჩენა და სწორი მიმართულებებით განვითარება და შრომითი მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების გაზრდა. შეფასების შედეგების მიხედვით შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებები პერსონალის წახალისების მიზნით. პერსონალის შეფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარის შედეგები, განსაკუთრებით, სწავლებისა და შეფასების სისტემის საკითხებთან დაკავშირებით. ხარვეზების აღმოჩნისას უნივერსიტეტი პერსონალს სთავაზობს ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგებსა და სემინარებს. ეს პერსონალის ინფორმირებულობას ზრდის ისეთი საკითხების შესახებ როგორიცაა სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და მიდგომები, სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, ონლაინ სასწავლო პლატფორმების გამოყენება. თსუ–ში მოქმედი აკადემიური პერსონალის აფილირების წესის (2018) მიზანია, უნივერსიტეტსა და მის აკადემიურ პერსონალს შორის ჩამოაყალიბოს ისეთი ორმხრივი შრომითი–სამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც, ერთი მხრივ, აკადემიურ პერსონალს მისცემს უნივერსიტეტის

სახელით საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის წარმოების საშუალებას, მეორე მხრივ, კი უნივერსიტეტს უქმნის აკადემიური პერსონალის შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობის ვალდებულებას.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე გამოვლინდა, რომ აკადემიური პერსონალის წახალისების მიზნით გაიზარდა შრომის ანაზღაურება (A კატეგორიის კონტრაქტის მქონე პროფესორებს ანაზღაურება 400 ლარით, ხოლო B კატეგორიის მქონე პროფესორების ანაზღაურება 200 ლარით).

თვითშეფასების დოკუმენტში ასახულია, რომ მოწვეული პერსონალის დატვირთვა დამოკიდებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის განახლებად სქემასა და კონკრეტული სასწავლო კურსისა და მისი სწავლის შედეგების მიღწევის აუცილებლობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეულ ლექტორსაც აქვს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის უფლება და მოწვეული პერსონალიც აქტიურადაა ჩართული სტუდენტთა კონსულტირებასა და სხვა მხარდამჭერ აქტივობებში, საყურადღებოა მათი მოტივაციის ამაღლების მექანიზმების განვითარების საკითხი. აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუზე გამოვლინდა, რომ მოწვეული პედაგოგები სტუდენტებთან დამატებით ჩართულობას საკუთარი ენთუზიაზმის ხარჯზე ახორციელებენ. მოწვეული პედაგოგები მიესალმებიან სახელმძღვანელოების თარგმანების კონკურსის არსებობას და საკონფერენციო დაფინანსების მოპოვების საშუალებას, მაგრამ ისურვებდნენ, რომ უნივერსიტეტი მეტად ზრუნავდეს მათ წახალისებაზე.

უნივერსიტეტი აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით, ხელს უწყობს მათ გაცვლით პროექტებში მონაწილეობას (მაგალითად: ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამები; ერაზმუს მუნდუსსის გაცვლითი პროგრამები, მევლანას გაცვლითი პროგრამა, მარი კიურის მე–7 ჩარჩო პროგრამა და სხვა). ეს შესაძლებლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პერსონალის ინტერნაციონალიზაციის კუთხით, რადგან პროფესიული უნარ–ჩვევების ამაღლების პარალელურ რეჟიმში ისინი ატარებენ საჯარო ლექციებს და ახორციელებენ სამეცნიერო კვლევით საქმიანობას უცხოელ კოლეგებთან ერთად. მიმართულების სხვადასხვა პროფესორი ამჟამადაც ჩართულები არის მნიშვნელოვან საერთაშორისო გრანტებში. აღსანიშნავია, რომ სოციოლოგიის მიმართულების პროფესორებს მჭიდრო თანამშრომლობა აქვთ კორვინუსის უნივერსიტეტის (ბუდაპეშტი) სოციოლოგიის მიმართულების პროფესორებთან, აგრეთვე ოქსფორდის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) წმ. ანტონის კოლეჯის პროფესორებთან და ა.შ..

პროფესიული ზრდისა და სამეცნიერო აქტივობის ხელშეწყობის მიზნით ფაკულტეტი აფინანსებს როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილოებას. აკრედიტაციის ვიზიტზე გამოვლინდა, რომ ამ შესაძლებლობას აკადემიური/მოწვეული პერსონალი იცნობს და ხშირად უსარგებლია. აღსანიშნავია სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები: პროგრამის გაძლიერებაში აქტიურად ჩაერთო ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI) „აკადემიური სტიპენდიების პროგრამა“ (AFP), აგრეთვე, გერმანული აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD). აღნიშნული ორგანიზაციების ფინანსური ხელშეწყობითა და სოციოლოგიის დეპარტამენტის მიერ შეთავაზებული წინადადებების შესაბამისად, თსუ სოციოლოგიის დეპარტამენტს გრძელვადიანი (4 თვიდან 2 წლამდე) ვიზიტით სტუმრობდნენ დიდი ბრიტანეთის, აშშ-ს და გერმანიის უნივერსიტეტების პროფესორები. ისინი არა მხოლოდ სასწავლო კურსებს უძღვებოდნენ, არამედ, აგრეთვე, მონაწილეობდნენ სოციოლოგიის კურიკულუმების (მათ შორის, სამაგისტრო კურიკულუმის) დახვეწასა და სრულყოფაში.

კვლევის მხარდაჭერის მიზნით თსუ–ში ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი. დეპარტამენტი უნივერსიტეტის თანამშრომლებს ხელს უწყობს უნივერსიტეტში

ხარისხზე და შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების განხორციელებას და ამასთანავე ეხმარება დაფინანსების მოპოვებაში. პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის ამსახველი დოკუმენტი აჩვენებს, რომ ისინი კვლევის ხელმძღვანელის, ან მკვლევარის სტატუსით თანამშრომლობენ სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან. თავად უნივერსიტეტის მხრიდან კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია საფაკულტეტო მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტი, რაც გულისხმობს აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების ერთობლივი მონაწილეობით სამეცნიერო კვლევის დაფინანსებას. აღნიშნული პროექტი ახდენს აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების თანამშრომლობის წახალისებას, მნიშვნელოვანია მათი პროფესიული განვითარებისა და ახალი ცოდნის შექმნისა და გავრცელებისთვის. არსებობს წარმატებული პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც მოხდა პედაგოგისა და სტუდენტის/სტუდენტების თანამშრომლობით მომზადებული სტატიის საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება.

თსუ–ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2013 წლიდან ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო კონფერენცია „სივრცე საზოგადოება, პოლიტიკა“, რომელშიც მონაწილეობას იღებენ სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების პროფესორები. ასევე ტარდება სხვადასხვა კონფერენციები, მაგალითად, ყოველწლიური საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენცია და სტუდენტთა საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია.

სწავლების პროცესის გაუმჯობესებისთვის ხდება სარეკომენდაციო გზამკვლევების მომზადება, დარგის ახალი სახელმძღვანელოების თარგმნა, სარეკომენდაციო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის შედგენა და შესყიდვა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს სახელმძღვანელოების კონკურსი, რაც გულისხმობს სასწავლო კურსებისთვის სახელმძღვანელოს შექმნას. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები აჩვენებს, სახელმძღვანელოების კონკურსში პროგრამის პერსონალი აქტიურად იღებს მონაწილეობას. აღნიშნული საგრანტო პროექტი საშუალებას აძლევს აკადემიურ პერსონალს, სასწავლო კურსის შინაარსი უფრო ხელმისაწვდომი და სასწავლო კურსის მიზნებთან შესაბამისი გახადოს. იმის გათვალისწინებით, რომ სოციალურ მეცნიერებებში ქართულენოვანი მასალა კვლავ დეფიციტურია, აღნიშნული სახელმძღვანელოები დარგისთვისაც მნიშვნელოვან კონტრიბუციას წარმოადგენს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშისა და აკრედიტაციის ვიზიტის საფუძველზე გამოვლინდა, რომ აღნიშნული სამსახური სისტემატურად გეგმავს და ახორციელებს პერსონალის საჭიროებებზე მორგებულ ტრენინგებს, სემინარებს და ვორკშოპებს ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორებისა და ექსპერტების მონაწილეობით. 2017 წლიდან თსუ–ს წვდომა აქვს Clarivate Analytics პროდუქტზე – "Web of Science (WoS)". "Web of Science" პლატფორმის გარდა წვდომა ჩართულია Journal Citation Reportზე, საიდანაც შესაძლებელია იმპაქტ–ფაქტორის მქონე ჟურნალების ჩამონათვალის ნახვა. 2018 წელს ჩატარდა ტრენინგები ბაზის მოხმარებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სამაგისტრო პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს წვდომა აქვს ბიბლიომეტრიული მაჩვენებლების ბაზებთან Google Scholar, Web of Science, Scopus.

უნივერსიტეტი ასევე ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებაზე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლებასა და კვლევაში დანერგვით. თსუ ჩართულია ხარისხის ერაზმუსის ინსტიტუციური განვითარების პროგრამის ერთ–ერთ პროექტში „აკადემიური კეთილსინდისიერება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხიანი სწავლებისა და სწავლისთვის“ (INTEGRITY).

აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2017–2020 წლებში ფარგლებში ჩატარდა მიზნობრივი ტრენინგები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის, შემუშავდა კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი, გაუმჯობესდა აკადემიური წერის სასწავლო კურსის სილაბუსები და მოხდა "Turnitin"–ის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა სასწავლო პროცესის მართვისა (LMS) და მუდლის (Moodle+Turnitin) სისტემებში. ამ ინსტრუმენტების შემუშავება პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ეხმარება სტუდენტებში აკადემიური კეთილსინდისიერების დანერგვის ეფექტიანად უზრუნველყოფაში. პანდემიის დაწყებასთან ერთად ფაკულტეტმა წარმატებით დაძლია ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებული გამოწვევები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ არაერთი ონლაინ ტრენინგი გაიმართა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, 2018 წლიდან სისტემატურად ტარდება ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების მოთხოვნების, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების გაწერისა და პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის შექმნის მიზნით.

უნივერსიტეტის აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა შეძლო თანამედროვე ტექნოლოგიების სინქრონული/ასინქრონული (ZOOM, Moodle, LMS და სხვ.) ფორმით აქტიური გამოყენება. ტრენინგების დადებით ეფექტიანობას ადასტურებს უსდ–ს მიერ ჩატარებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვები ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით და სტუდენტების კმაყოფილების გამოსავლენად ჩატარებული გამოკითხვები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2020 წლის ანგარიში;
- ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- თებერვალი, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ. https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/812018//
- თსუ–ის აკადმიური საბჭოს დადგენილება №64/2018, 19 თებერვალი,სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ–პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/642018//
- სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები;
- სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით

სწავლების განხორციელების კონცეფციისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ;

- თსუ–ს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი;
- ტრენინგების კალენდარი: https://www.tsu.ge/ka/quality-assurance/page/%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვები ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით;
- სტუდენტების გამოკითხვები ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით.
- თსუ–ს მიერ პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევისა და გამოკითხვის შედეგები (დანართი 16);
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (დანართი 16);
- თსუ–ს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტი გაცვლითი პროგრამები;
- საერთაშორისო ან/და სამეცნიერო/კვლევით პროექტებში კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ–მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ–ში მოქმედი საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი ხელმისაწვდომია სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისა და პროფესორებისათვის. სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ: საბიბლიოთეკო რესურსები, სასწავლო აუდიტორიები, საფაკულტეტო მულტიმედიაცენტრი და კომპიუტერული რესურსცენტრი. თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, სტუდენტები აღნიშნული მატერიალურ–ტექნიკური რესურსების არსებობისა და გამოყენების შესაძლებლობის შესახებ სწავლის დაწყებისთანავე იღებენ ინფორმაციას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია ელექტრონული კატალოგის სისტემით და უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის საჭირო წიგნების ავტომატურ მოძიებას. აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსისთვის არსებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები, თუმცა მასალების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, შეუძლებელია მათი ჩამოტვირთვა. საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობის წესები, სხვა ხასიათის ინსტრუქციებთან ერთად, ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ინტერნეტ გვერდზე. სტუდენტებს როგორც უნივერსიტეტიდან, ასევე უნივერსიტეტის გარე სივრცეებიდან აქვთ წვდომა ისეთ აღიარებულ საერთაშორისო ბაზებზე, როგორიცაა EBSCO, კემბრიჯის ონლაინ ჟურნალები, ოქსფორდის ჟურნალები, SAGE პუბლიკაციები, მეცნიერებადერია, JSTOR, SciVerse Scorpus, Springer ბმული, Aluka და ა.შ.. მიუხედავად ამ შესაძლებლობისა, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნულ ბაზებს ძალიან ცოტა სტუდენტი იყენებს. სასურველი იქნება მათი გამოყენების სიხშირის გაზრდა სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით. დამატებით აღსანიშნავია, რომ პანდემიის მიუხედავად ბიბლიოთეკას მუშაობა არ შეუწყვეტია და აქტიურად ეწევა ბეჭდური მასალების გაციფრების პროცესს. ამ პროცესში ბიბლიოთეკის თანამშრომლებს რობოტი სკანერიც უწევთ დახმარებას.

კონკრეტულ სემესტრში მოქმედი სასწავლო კურსის მასალები ატვირთულია e–learning.tsu.ge–ზე და Moodle–ის სასწავლო პლატფორმაზე. უნივერსიტეტში სტუდენტთა რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის ხელშეწყობის მიზნით მოქმედებს საუნივერსიტეტო ქსელი „LMS" ასევე, გამოიყენება „Turnitin"–ისა და „Moodle"–ის პროგრამები. მათი დახმარებით სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და იღებენ ინფორმაციას სიახლეების შესახებ. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „LMS" ხელს უწყობს სტუდენტებსა და პროგრამის განმახორციელებელ პირებს, ასევე, უნივერსიტეტის სამსახურებს შორის კომუნიკაციას.

რაც შეეხება კომპიუტერულ რესურსს, სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ ზოგადად ფაკულტეტის მოხმარებაში არსებული კომპიუტერები (103 კომპიუტერი), რომელიც უნივერსიტეტის სხვადასხვა სივრცეებშია განლაგებული. უშუალოდ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი კომპიუტერული რესურს–ცენტრი განთავსებულია მეოთხე და მეექვსე კორპუსებში. სწორედ ამ კომპიუტერებშია ხელმისაწვდომი SPSS–ის პროგრამა, რომლის სრულყოფილად გამოყენება პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. აკრედიტაციის ვიზიტზე აღნიშნული პროგრამასთან დაკავშირებით ურთიერთსაპირისპირო ინფორმაცია

მივიღეთ. აღინიშნა ისიც, რომ სტუდენტების არ აქვთ SPSS –ის პროგრამაზე წვდომის პრობლემა და ამასთანავე ისიც ითქვა, რომ სტუდენტებს არ ჰყოფნით პროგრამით აღჭურვილი კომპიუტერების რაოდენობა და პრობლემას ქმნის მოძველებული კომპიუტერული ტექნიკაც. პროგრამა სტუდენტებს არჩევით საგნად სთავაზობს საგანს „მონაცემთა ანალიზი STATA–ში", რომელიც ასევე პროგრამულ უზრუნველყოფას მოითხოვს. საგნის ლექტორთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ 25 კომპიუტერში მან თავად დააყენა აღნიშნული პროგრამა და სტუდენტებს პროგრამაზე წვდომა აქვთ დისტანციურ რეჟიმშიც.

რაც შეეხება თვისებრივი კვლევის მონაცემების ანალიზისთვის განკუთვნილ პროგრამებს, უნივერსიტეტი პროგრამების ძვირადღირებულობის გათვალისწინებით სტუდენტებს ვერ უზრუნველყოფს ამ შესაძლებლობით. გარდა ამისა, აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელის და სხვა პერსონალის მხრიდან დაფიქსირდა მოსაზრება, რომლის თანახმად, რაოდენობრივი კვლევის მონაცემებისგან განსხვავებით, თვისებრივი მონაცემების ანალიზისთვის არ არის აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფა. ამ არგუმენტის თანახმად, თვისებრივი მონაცემების ხელით დამუშავება არ არის კავშირში არაკომპეტენტურობასთან და ბევრი აღიარებული მკვლევარი სწორედ ამ გზას ანიჭებს უპირატესობას. ასევე აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს რიგ შემთხვევებში მაინც ეძლევათ თვისებრივი კვლევის მონაცემების ანალიზისთვის განკუთვნილ პროგრამებთან წვდომის საშუალება. თვისებრივი კვლევის მეთოდების პრაქტიკუმის ფარგლებში სტუდენტები ხშირად სარგებლობენ პროგრამის უფასო ორკვირიანი ვერსიით. გარდა ამისა, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ეწევა აქტიურ კვლევით საქმიანობას და ზოგიერთ სტუდენტს ეძლევა მათ კვლევით ცენტრებში არსებული პროგრამების (მაგალითად, NVivo, MAXQDA) გამოყენების საშუალება. მიუხედავად ამ ალტერნატიული საშუალებებისა, სასურველია რომ უნივერსიტეტმა აღჭურვოს კომპიუტერული ლაბორატორიები როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მონაცემების ანალიზისთვის საჭირო ლიცენზირებული პროგრამებით, რომლებიც სტუდენტებს ულიმიტო და სრულფასოვანი მუშაობის საშუალებას მისცემს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მატერიალურ–ტექნიკური რესურსები;
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან ჩატარებული ინტერვიუ;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები;
- მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები;
- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბიბლიოთეკები. ბიბლიოთეკის კატალოგი: https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/e_catalog/;
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „LMS" (http://lms.tsu.ge/);
- ელექტრონული სწავლების პლატფორმა: https://e–learning.tsu.ge/;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზები: https://rp.tsu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=150&Itemid=186&lang=ka–GE
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- ფაკულტეტის ბაზაზე არსებული ინვენტარის ჩამონათვალი.
- მულტიმედია ცენტრი (http://multimedia.tsu.edu.ge/)
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ–მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ უნივერსიტეტმა აღჭურვოს კომპიუტერული ლაბორატორიები როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მონაცემების ანალიზისთვის საჭირო ლიცენზირებული პროგრამებით, რომლებიც სტუდენტებს ულიმიტო და სრულფასოვანი მუშაობის საშუალებას მისცემს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფისთვის საჭირო ფინანსური რესურსები ასახულია, როგორც უნივერსიტეტის ერთიან, ასევე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის და სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში.

პროგრამა ფინანსდება სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასურით, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის მხარდაჭერით რომელიც ფარავს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას, პროგრამისთვის საჭირო

მატერიალუტ–ტექნიკური ბაზის შენახვა–სრულყოფის საკითხებს, ლიტერატურის განახლებისა და სამეცნიერო–კვლევით ხარჯებს.

პროგრამის ფაქტობრივი მდგომარეობა ცხადოფს, რომ ის ფინანსურად მიღწევადი და მდგრადია. სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის პერსონალი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში. მისი ერთ–ერთი პრიორიტეტია დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიება, გრანტების ან სხვა დაფინანსებული პროექტების სახით. საგრანტო დაფინანსება ასევე სტუდენტთა და პროგრამის პერსონალის შრომითი ანაზღაურების და წახალისების დამატებით წყაროს წარმოადგენს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროგრამების ფინანსური მონაცემები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ–მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☑			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების საფუძველზე.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით თბილისის სახელმწიო უნივერსიტეტის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფა მოქმედებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ ციკლის შესაბამისად და გამოიყენება შემდეგნაირად: (1) პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, (2) განხორციელება სასწავლო გეგმის მიხედვით; (3) მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.); (4) შედეგების გათვალისწინება და პროგრამის მოდიფიცირება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტები ჩართულნი არიან გაწეული მომსახურების უწყვეტი მონიტორინგის პროცესში. მონიტორინგი ძირითადად ხორციელდება მიზნობრივი ჯგუფების გამოკითხვის და სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეშვეობით. გამოკითხვის ფორმებში შეტანილია ისეთი საკითხების შეფასება, როგორიცაა - საგანმანათლებლო პროგრამებით, სწავლის შედეგებით კმაყოფილება, მართვის პროცესების, ინფრასტრუქტურის შეფასება, მათი განვითარების საჭიროებები, აკადემიური პერსონალის, მატერიალური ბაზის შეფასება და სხვ.

მოპოვებული ინფორმაციის შედეგების გათვალისწინებით ხდება მონაცემების დამუშავება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტის გზების შერჩევა. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების შიდა შეფასების სისტემა, რომლის თანახმადაც განხორციელდა წარმოდგენილი პროგრამის შიდა შეფასება. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელებსა და აკადემიურ პერსონალს გაეწია კონსულტაციები და მიეცათ კონკრეტული რეკომენდაციები, რაც გათვალისწინებული იქნა პროგრამის სრულყოფის პროცესში. თვითშეფასების ანგარიშიდან და ექსპერტთა ჯგუფის ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს სამაგისტრო პროგრამის ხარისხის შეფასებას აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით, ატარებს ინტერვიუებს დაინტერესებულ მხარეებთან, სწავლობს ბაზარს, იკვლევს პროგრამის განვითარებისთვის ახალ შესაძლებლობებს და ახორციელებს მათ იმპლემენტაციას პროგრამაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და თვითშეფასების პროცესში ჩართული პერსონალი მუშაობის პროცესში მუშაობდა არა მხოლოდ ნაკლოვანებების გამოვლენის მიმართულებით, არამედ აანალიზებდა გამოვლენილ ნაკლოვანებებს და მათი გამოსწორების ქმედებებსა და გზებს. უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების განვითარებისა და სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები და ტრენინგები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინა კვლევები და გამოკითხვების ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების/ტრენინგების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა; ● ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ● სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა; ● შრომის ბაზრის კვლევა; ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიში; ● ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ● ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ● ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ–მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასების მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს. სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების საფუძველზე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განვითარებას და დახვეწას.

პროგრამის გარე შეფასება განხორციელებულია დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების და ასევე ერთი დამოუკიდებელი ექსპერტის გარე შემფასებლის მიერ პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას. ასევე პროგრამამ გაიარა შიდა „კოლეგიალური“ შეფასება, რომელიც წარმოადგენდა აკრედიტაციის პროცესის სიმულაციას. შეფასებაში მონაწილეობდნენ ცენტრალური ხარისხის და სხვა ფაკულტეტების ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები, უნივერსიტეტის პროფესურა და სტუდენტები, რომლებიც არიან სსიპ განათლების ხარისის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაცია–ავტორიზაციის

ექსპერტები. შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა პროგრამის მოდიფიკაციისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიში;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ–მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება ძირითადად ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვით და სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით.

ხარისხის უზრუნველოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს ახორციელებს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასებას კითხვარების საშუალებით (გამოკითხვა სტუდენტთა ელექტრონული ბაზის მეშვეობითაა შესაძლებელი). ხორციელდება სტუდენტთა სასწავლო კურსით კმაყოფილების ანალიზი. მიღებული შედეგები მუშავდება პროგრამის შემდგომი დახვეწისთვის.

სოციოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში დასტურდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან, დამსაქმებლებთან საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარებული შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები, სადაც აღწერილია მონაწილეთა შეფასებები და მათი მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციები და რჩევები. აღნიშნულ პროცესში ჩართულობას ადასტურებს ყველა დაინტერესებული მხარე ინტერვიუების დროს. სახელდება მათი მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციების პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გათვალისწინების კონკრეტული შემთხვევები.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგის მიზნით ესწრება ლექციებს/პრაქტიკულ მეცადინეობებს, აანალიზებს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის ან ცალკეული სასწავლო კურსის სრულყოფისათვის. ასევე შედეგებთან დაკავშირებით ხდება კომუნიკაცია პედაგოგთან და საჭიროების შემთხვევაში ხდება რეკომენდაციებისა და რჩევების მათთვის გაზიარება. ამ ეტაპზე პროგრამა არ იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას; თუმცა პროგრამის აკდემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დააფიქსირა აღნიშნულ პროცესში ჩართულობის მზაობა.

პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია სტუდენტთა აკადმიურ მოსწრების ანალიზის შედეგები რომელიც ეფუძნება შესაბამისი გაუსის ცხრილების ელექტრონულ პლატფორმაზე ინტეგრაციას. სწავლის შედეგებში აღინიშნება ქულების სერიოზული ინფლაცია წანაცვლებული მაღალი შეფასებების მიმართულებით; შესაბამისად საჭიროა აღნიშნული საკითხის სიღრმისეული გამოკვლევა და სათანადო რეაგირების განხორციელება.

უნივერსიტეტისთვის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ–ერთი მექანიზმია უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური

შეფასება, რაც გამოიხატება მათი მხრიდან ყოველწლიური ან ყოველსემესტრული ანგარიშების წარმოდგენაში. ანგარიშებში აისახება ინფორმაცია, მათი მიღწევების, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, სტატიების გამოქვეყნების, მოზიდული ადგილობრივი თუ საერთაშორისო გრანტების შესახებ და სხვ. აღნიშნული საქმიანობა დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების და ნაწილი აკადემიური პერსონალის რეზიუმეებიდან და ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკადემიური, სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის რეგულარული შეფასების ანგარიშებით.

პროგრამის თვითშეფასების პროცესში განხორციელდა პროგრამის შედარება წამყვან საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ინტერვიუებით და ასევე ანალიზის შედეგებიც არის დოკუმენტირებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი;
- სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასების ანგარიშები;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ–მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;
- სასურველია სწავლის შედეგების ანალიზის შედეგად დაფიქსირებული ქულების სერიოზული ინფლაციის(წანაცვლებული მაღალი შეფასებების მიმართულებით) სიღრმისეული გამოკვლევა და სათანადო რეაგირების განხორციელება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

“სოციოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 55

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☑			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☑		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☑			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ილია ბოცვაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ანა კირვალიძე

ელენე გავაშელიშვილი

ჯოვანა აბლოთია